საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 20 თებერვალი. 2018 წ. №36 (8437), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ვიზალიბერალიზაცია ორმაგი თავის ტკივილია!

მიხეილ ჯანელიძე: არ უნდა მივცეთ საშუალება კრიმინალებს, ხელი შეუშალონ იმ სიკეთეს, რომელიც ვიზალიბერალიზაციამ მოიტანა

③

ყვირილი ქალთა უფლებების დაცვაზე აბსურდულია, თუ არ გავითვალისწინეთ მამაკაცთა ინტერესებიც!



⑤

ნუთუ ამ ჩვენმა ტურფა ანა დოლიძემ უკვე ღალატიც მოასწრო?!

②

პროტესტი

ღია წერილი ბატონ ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის

⑧

ევროკავშირთან ინტეგრაციის გენერალური დირექტორატი გვიშველის?!

საგარეო საქმეთა სამინისტროში ახალი ტიპის სტრუქტურა — ევროკავშირთან ინტეგრაციის გენერალური დირექტორატი იქმნება, რომელიც მოიცავს საგარეო უწყებისა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ყოფილი აპარატის დეპარტამენტებს, — ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ პარლამენტში, საგარეო ურთიერთობათა, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა.

თეა წულუკიანი პარლამენტში „გაწეწვას“ გადაურჩა!..

თეა წულუკიანის პარლამენტში გამოსვლა ხმაურის ფონზე წარიმართა. ენმ-ის წევრი თინა ბოკუჩავა მიხეილ სააკაშვილის ექსტარდირების საკითხით დაინტერესდა, კერძოდ, მიმართა თუ არა ქართულმა მხარემ პოლონეთის, გერმანიისა და ჰოლანდიის მთავრობებს საქართველოს ექსპრეზიდენტის ექსტრადირების მოთხოვნით.

„თუ არ მიმართეთ, მაშინ თქვენი შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება გამახსენდა, რომ ივანიშვილს სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის ეშინია და მის გადმოცემას ვერ ითხოვთ“, — მიმართა წულუკიანს ბოკუჩავამ.

მისივე თქმით, მივლინებებთან და ხარჯებთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს სადეპუტატო კითხვით მიმართა, თუმცა პასუხი არ მიუღია. ოპოზიციონერ დეპუტატს უმრავლესობის წევრი ზვიად კვაჭანტირაძე გამოეხმაურა და მოუწოდა, კითხვები განსახილველ საკითხზე დაესვა.

— თქვენ იყავით, ვის დროსაც დემოკრატია ფეხქვეშ ითელებოდა. საშუალებას არ მოგცემთ, რომ სპექტაკლი დადგათ, — მიმართა კვაჭანტირაძემ ბოკუჩავას. ხმაური გამოიწვია ასევე იუსტიციის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლის ანა სუბელიანის დარბაზში დასმულმა კითხვამ მისი გათავისუფლების შესახებ. ზვიად კვაჭანტირაძემ სხდომის მონაწილეებს წესრიგისკენ მოუწოდა, ანა სუბელიანს კი განუმარტა, რომ მისთვის საინტერესო საკითხი დღის წესრიგით გათვალისწინებული არ ყოფილა. კვაჭანტირაძემ ასევე განაცხადა, რომ თუკი სუბელიანი საუბარს გააგრძელებდა, მას დარბაზს დაატოვებინებდნენ...

როგორ გავამდიდროთ ღარიბები და არ გავაღარიბოთ მდიდრები!

მდიდარი ქვეყანა, ღარიბი სახელმწიფო

ნანატრი დამოუკიდებლობის მოპოვების ოცდამეშვიდე წელს ჩვენი სამშობლო ისევ მდიდარ ქვეყნად (საქართველოს ეროვნული სიმდიდრე 750 მილიარდ აშშ დოლარადაა შეფასებული), მაგრამ ღარიბ სახელმწიფოდ რჩება (მთლიანი შიდა პროდუქტი მხოლოდ 14,4 მილიარდი დოლარია, როცა დაახლოებით ჩვენი ზომის ქვეყნებში — დანიასა და ისრაელში ის 300 მილიარდის, ხოლო ტერიტორიით ჩვენზე ორჯერ პატარა ბელგიაში სულაც 470 მილიარდი დოლარის ტოლია), რაც მიანიშნებს, რომ ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკაში რაღაც სერიოზულად შესაცვლელია.

სტატისტიკის ექსპერტების ემპირიული შეფასებით, საქართველოს მოსახლეობის 2-3 პროცენტი მდიდარია, 7-8% შეძლებული, 8-10% საშუალო ფენას შეიძლება მიეკუთვნოს, ხოლო 80% ღარიბს, რომელთაგან ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობს (საკვების, ტანსაცმლისა და საცხოვრებლის სერიოზული პრობლემები აქვთ), ხოლო დანარჩენები ფარდობით სიღარიბეში იმყოფებიან.

თომას ჰობსის მიერ „სახელმწიფოს საშინელ მტრად“ შერაცხილი სიღარიბე მართლაც საშინელი რამეა. იგი დამბლას სცემს სახელმწიფო ინსტიტუტებს, ააქტიურებს კორუფციულ, კრიმინალურ და დესტრუქციულ ძალებს, დიდ გასაქანს აძლევს პოპულისტურ და რადიკალურ რიტორიკას, რაც ძაბავს პოლიტიკურ ველს და შინააშლილობის გამოწვევის წინაპირობაა. პასკალის აზრით კი „შინააშლილობაზე უფრო დიდი უბედურება არ არსებობს“ — „ყოველი სამეფო, თავის თავის წინააღმდეგ დაყოფილი, გაუდაბურდება,“ ამიტომ, სანამ ყველაფერი ზემოთქმული სამოქალაქო დაპირისპირებაში არ გადაზრდილა, იგივე ჰობსის მიხედვით **ხელისუფლება ვალდებულია, დაამყაროს მშვიდობა ქვეყნის შიგნით და იზრუნოს საკუთარი მოქალაქეების გამდიდრებისთვის.**

დემოკრატიული სოციალიზმის (სოლიდარიზმის) მანიფესტი საქართველოსთვის

იხ. 6-7 გვ.

დიმიტრი ქუმსიშვილმა მსოფლიო ბანკთან BLOCKCHAIN-ის ტექნოლოგიების განვითარებაზე ისაუბრა

პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი მსოფლიო ბანკის დელეგაციას შეხვდა, რომელსაც აღნიშნული ორგანიზაციის მთავარი ეკონომისტი ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების რეგიონში ჰანს ტიმერი ხელმძღვანელობდა.

შეხვედრაზე განხილული იყო საქართველოში blockchain-ის ტექნოლოგიების განვითარების საკითხი. მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთა მხრიდან აღინიშნა, რომ საქართველოში ძალიან კარგად არის განვითარებული კრიპტოვალუტის – ბიტკოინის წარმოება და ზოგადად blockchain-ის ტექნოლოგიები და მეტიც, ამ მიმართულებით, ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერია. ამდენად, მსოფლიო ბანკისთვის მნიშვნელოვანი იყო იმ გამოცდილების შესწავლა, რომელიც საქართველოს საჯარო და კერძო სექტორს აქვს blockchain-ის ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით.



მსოფლიო ბანკის დელეგაციის წარმომადგენლები დაინტერესდნენ საქართველოში აღნიშნული ტექნოლოგიების მდგომარეობით, განვითარების ხედვით და სამომავლო პერსპექტივებით. მსოფლიო ბანკის მისია ასევე გეგმავს შეხვედრების გამართვას სხვა სამთავრობო უწყებებსა და კერძო სექტორში, სადაც ასევე არის დანერგილი blockchain-ის ტექნოლოგიები. შეხვედრას ასევე დაესწრო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ეკატერინე მიქაბაძე.

მამუკა ბახტაძე მსოფლიო ბანკის მთავარ ეკონომისტს შეხვდა

საჯარო სექტორში ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებაზე ისაუბრეს ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების რეგიონში მსოფლიო ბანკის მთავარმა ეკონომისტმა ჰანს ტიმერმა.

საქართველოს მთავრობასთან აღნიშნული დიალოგის მიზეზი გახდა ის გარემოება, რომ საქართველო განიხილება, როგორც წარმატებული მაგალითი ბლოკჩეინ ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს მსოფლიო ბანკის, ზოგადად, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი აღნიშნული სისტემების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით გაგრძელდეს კონსულტაციები და თანამშრომლობა.



მმართველი გუნდი მაუწყებლობის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით ვეტოს დაძლევს!

მმართველი გუნდი ხმას მისცემს ვეტოს დაძლევას, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯომარე ირაკლი კობახიძემ „ქართული ოცნების“ ოფისში, უმრავლესობის შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა. მისივე თქმით, ვეტოს დაძლევას მხარს უმრავლესობის მხოლოდ 4 დეპუტატი არ უჭერს.

„უმრავლესობის ყველა დეპუტატი მხარს მისცემს ვეტოს დაძლევას, გამონაკლისები შეეხებათ იმ დეპუტატებს, რომლებიც ამ თვეების განმავლობაში არგუმენტებით გამოდიოდნენ კანონპროექტის წინააღმდეგ. მათ შეეძლებათ საკუთარი პოზიციის გამოხატვა, რაც შეეხება სხვა დეპუტატებს ისინი ხმას მისცემენ კანონს“, – განაცხადა კობახიძემ.

ცნობისათვის, მაუწყებლის შესახებ კანონის კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარს ამბობენ რომან კაკულია, ლევან კობერიძე გიორგი მოსიძე და თავით ჭიჭინაძეც.შეხვედრის დაწყებამდე ნუკრი ქანთარიამ განაცხადა, რომ მაუწყებლის შესახებ კანონის კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

მაუწყებლობის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებზე დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა 14 თებერვალს გადაწყვეტილება ვერ მიიღო. კომიტეტის წევრთა ხმები შუაზე გაიყო. 22 დეკემბერს პარლამენტში „მაუწყებლობის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტს მესამე მოსმენით, 63-მა პარლამენტარმა დაუჭირა მხარი.

ნუთუ ამ ჩვენმა ტურფა ანა დოლიძემ უკვე ღალატიც მოასწრო?!

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრები პრეზიდენტის მიერ დანიშნულ არამოსამართლე წევრს რუსულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში ადანაშაულებენ და ამტკიცებენ, რომ ანა დოლიძე 2008 წელს რუსულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობდა და ამ ორგანიზაციას საქართველოს წინააღმდეგ სარჩელების მომზადებაში ეხმარებოდა. საბჭოს წევრის დიმიტრი გვრიტიშვილის განცხადებით, არსებობს დოკუმენტაცია, ინტერვიუები, ჩანაწერები, რომლიდანაც შეიძლება ამის დასკვნა გაკეთდეს, თუმცა, გვრიტიშვილს მედიის წარმომადგენლებისთვის კონკრეტული დოკუმენტაცია არ წარუდგენია.

„ანა დოლიძე საამაყოდ მიიჩნევს 2008 წლის ომის პერიოდში ქართველი ჯარისკაცების მაკომპრომენტირებელი მასალების შეგროვებას იმისთვის, რომ საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი ყოფილიყო საჩივრები ევროპულ სასამართლოში და პირიქით, იაფფასიანად მიიჩნევს პატრიოტულ გრძნობებს ადამიანში და სამშობლოს ინტერესების დაცვას. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვიჩნდება კითხვა, ამგვარი მორალის ადამიანი რატომ უნდა იყოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და მონაწილეობას იღებდეს ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც საბჭოს კომპეტენციაშია, თუნდაც მოსამართლეების დანიშვნა? საჩივრები შეტანილია სტრასბურგის სასამართლოში და არსებობს ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ქალბატონი ანა განმარტავდა, თითქოს ეს იყო საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებები, რომლითაც დასტურდება, რომ ზუსტადაც ქართველი მეომრების მიერ ჩადენილი ქმედებები იყო უარყოფითი კონტექსტით“, – განაცხადა გვრიტიშვილმა.

გურამ დონაძემ 8 წლის შემდეგ მოიტანა ის კასეტა, რომ ბუტა ხელაწეული ჰყავთ მოკლული!

„ზაზა ბაძრაძის აღიარება ჩემთვის სურპრიზი არ ყოფილა, რადგან ვიცი, რომ მართალი ვარ და ბაქრაძის გარდა, სხვა ვინმეებიც მალე ჩაერევიან და ილაპარაკებენ. დონაძემ 8 წლის შემდეგ მოიტანა ის კასეტა, რომ ბუტა ხელაწეული ჰყავთ მოკლული“, – ამის შესახებ ბუტა რობაქიძის მამამ სოსო რობაქიძემ ჟურნალისტებთან განაცხადა.

„რაც შეეხება იმას, რომ ეს აღიარება დაგვიანებულია, გეტყვით, რომ დონაძემ 8 წლის შემდეგ მოიტანა ის კასეტა, რომ ბუტა ხელაწეული ჰყავთ მოკლული. მანამდე ამბობდნენ, რომ ორმხრივი სროლის შედეგად დაიღუპა. ნებისმიერი პატრულის მიცემული ჩვენება დაგვიანებულია, რადგან მაშინ არასწორი ჩვენება მისცეს. ასე მოუვიდა ბაქრაძესაც. აღიარონ მიქაძემ და დონაძემ და სიმართლე თქვან, ასეთ ზღაპრებს რომ ლაპარაკობენ. როცა ოთხი მასრაა ნაპოვნი, ორი ბუტასი და ორი ბაშალეიშვილის, ტყვიის გავარდნაზე საუბარი ზედმეტია. გამაფრთხილებელიც რომ ესროლა და შემდეგ ესროლათ, გავარდნა მაინც არ გამოდის. ძალიან მალე დაგიმტკიცებთ ყველას, რომ ბაშალეიშვილმა რობაქიძეს დამიზნებით ესროლა. მე მოგიტანთ დისკს, სადაც ჩანს, რომ ბაშალეიშვილი მეტრნახევარზე სწევს ხელს და ესვრის ბუტას. მერე მასრა იყრება ძირს და ჯიბეში იდებს, რომ ფაქტი მოსპოს“, – განაცხადა ჟურნალისტებთან ბუტა რობაქიძის მამამ სოსო რობაქიძემ.

გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესი ექსპერტების დაკითხვით მიმდინარეობდა. შეგახსენებთ, რომ ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით ხუთი პირია ბრალდებული.

აუდიო ხმაში მონტაჟი მესამე წუთზე შეინიშნება

„ფონოსკოპიური ექსპერტიზის ჩამტარებლმა ექსპერტებმა განაცხადეს, რომ პირველივე წამებიდან მონტაჟია. აუდიო ხმაში მონტაჟი მესამე წუთზე ფიქსირდება. რაც შეეხება დაცვის მხარის მიერ გაცხადებულ კომენტარს, რომ 3 წუთამდე არანაირი მონტაჟი არ შეინიშნება, აღნიშნული არასწორი ინფორმაციაა, ვინაიდან ეს ექსპერტებმა მხოლოდ და მხოლოდ აუდიოჩანაწერებთან დაკავშირებით განაცხადეს. რაც შეეხება დღევანდელ პროცესს, ვიდეოექსპერტიზის ჩამტარებლები,ჰაბიდოსკოპი ექსპერტის დაკითხვა იგეგმება. ამ ექსპერტების დასკვნებით, როგორც პირველივე წამებიდან, ასევე სამ წუთამდე არაერთი კადრის წყვეტაა დაფიქსირებული“, – აცხადებს პროკურორი გიორგი ოსაძე.

მუსტაფა ემრე ჩაბუქს საექსტრადიციო პატიმრობის სანაცვლოდ, ათასლარიანი გირაო შეეფარდა

პროკურატურამ მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქმესთან დაკავშირებით შუამდგომლობა შეცვალა. გუშინდელ სასამართლო პროცესზე საგამოძიებო უწყებამ, საექსტრადიციო პატიმრობის სანაცვლოდ, 10-ათასლარიანი გირაოს შუამდგომლობა დააყენა, რასაც დარბაზში მყოფები ოვაციებით შეხვდნენ.

დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის მენეჯერი მუსტაფა ემრე ჩაბუქი 2017 წლის 24 მაისს დააკავეს. მიზეზი თურქული მხარის მოთხოვნა იყო, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩაბუქი ფეთჰულა გიულენის ტერორისტული ორგანიზაციის საქმიანობას უწყობდა ხელს.

თამამად შემიძლია გითხრათ, რომ პოლიტიკური პატიმარი ვიყავი!

– განუცხადა სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებულმა მუსტაფა ემრე ჩაბუქმა ჟურნალისტებს. ის უახლოეს დღეებში პრესკონფერენციის ჩატარებას და დეტალებზე საუბარს გეგმავს.

„მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მეგობრებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს. ასევე ქალბატონ რებეკა ჰამსს. 9-თვიანი პატიმრობის ვადა ამომეწურა დღეს. მე ვარ მასწავლებელი და ვარ შეყვარებული განათლებაზე.

15 წელია, საქართველოში ვმოღვაწეობ პრინციპით, რომ ბავშვებში იყოს ჩანერგილი სიყვარული, მეგობრობა და მშვიდობა. მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ჩხუბის, ტერორიზმის. საქართველოში ათასობით მეგობარი და მოსწავლე მყავს და ჩვენი აქ მოღვაწეობა ყოველთვის დადებითად ფასდებოდა. მთავრობისგან, სახელმწიფო მოხელეებისგან, განათლების სამინისტროსგანაც ჩემი საქმიანობა ყოველთვის დადებითად ფასდებოდა. ლეგალურად თუ არალეგალურად ვერცერთი ტერორისტული დაჯგუფების წევრი ან მომხრე ვერ ვიქნები“, – ძალიან დიდი მადლობა თქვენ. სასამართლომ მუსტაფა ემრე ჩაბუქს აღკვეთის ღონისძიების სახით 1000 ლარის ოდენობით გირაოს გადახდა შეუფარდა.

ვიზალიბერალიზაცია – მონაპოვარი თუ პრობლემა?

რამდენად ზრუნავს საქართველო საკუთარ მოქალაქეებზე, მათ კეთილდღეობასა და ღირსეული ცხოვრების პირობებზე? ეს კითხვა, ზოგიერთ შემთხვევაში, რიტორიკულდაც კი შეიძლება იყოს აღქმული. თუმცა რეალობა ისაა, რომ ადამიანების კეთილდღეობის აღქმა სტაბილურობისთვის, მათ შორის, პოლიტიკური სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მოცემულობა კი დღეს ასეთია: ვიზალიბერალიზაციიდან თითქმის ერთი წლის თავზე ხელისუფლებიდან განსაკუთრებული მესიჯები ისმის იმის შესახებ, რომ ევროკავშირთან თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობა არ უნდა იყოს გამოყენებული უკანონოდ. კამპანიას ამ შინაარსით ერთი წლის წინაც ვხედავდით. **თუმცა ახლა, ევროკავშირში მიმოსვლის სტატისტიკა, კრიმინალური შემთხვევების რაოდენობა და სხვა დეტალები განიხილება, რომლებმაც საქართველო, შესაძლოა, ევროპის მხრიდან ვიზალიბერალიზაციის გაუქმებამდე მიიყვანოს.**

ცხადია, ვინც არალეგალური სამუშაოსთვის უცხოეთში წასვლას ცდილობს, რისკავს, მაგრამ ამ რისკს სამუშაოს შოვნის გადაუდებელი აუცილებლობით ამართლებს. მეორე მხრივ, ქვეყანაში ვხედავთ დემონსტრაციებს, რომლებიც უცხოელი მოქალაქეების დასაქმების წინააღმდეგ არის მიმართული.

„ქართული მარშის“ ტიპის ჯგუფები პერიოდულად მართავენ აქციებს და მოუწოდებელ მოქალაქეებს ხმა აიმაღლონ უცხოელების წინააღმდეგ, „რომლებიც ქართველებს სამსახურს ართმევენ“. ამგვარი აქცია იანვარში კასპშიც გაიმართა, სადაც ადგილობრივები „ჰაიდელბერგ ცემენტის“ მიერ ჩინეთის მოქალაქეების დასაქმებას აპროტესტებდნენ. აქციას „ქართული მარშის“ წარმომადგენლები შეუერთდნენ. მისმა ერთ–ერთმა ლიდერმა ლადო სადღობელაშვილმა მაშინ განაცხადა, რომ ეს პროტესტი მთელ საქართველოს მოედება.

მამისა ჯაფარაშვილმა, კოალიცია „სახალხო ტრიბუნების“ წარმომადგენელმა კი განცხადებები ეროვნული დაუმორჩილებლობის შესახებ გააკეთა და თქვა, რომ უცხოელები „საქართველოს გვართმევენ“. თუმცა ამაზე არ შეჩერდა და ტექსტის პოლიტიკური ნაწილი შემდეგნაირად გააგრძელა: „ან შეცვალონ კურსი და სისტემა დატოვონ, ან მისცენ ამის გაკეთების საშუალება მათ, ვინც ქართულად გაუძღვება ქვეყანას“.

ადგილობრივები კასპში აცხადებდნენ, რომ ქარხნის მშენებლობისთვის ჩინეთიდან ჩამოჰყავთ მუშები მაშინ, როდესაც აქაური ახალგაზრდები უმუშევრები არიან.

გამორჩა თუ არა ხელისუფლებას გარკვეული დეტალები და დარჩა თუ არა ყურადღების მიღმა ზოგიერთი საკითხი, რომელთა გამოც საკუთარი მოქალაქეები დასაქმების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკასთან ამგვარ კონფლიქტში აღმოჩნდნენ.

„ამერიკის ხმასთან“ ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი **კახა გოგოლაშვილი** ამბობს, რომ ჩინელები ამ დებატებში ხშირად ფიგურირებენ. მისი თქმით, ეს იმიტომ, რომ „ჩინელებთან დავდეთ ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და გარკვეული ვალდებულებები ვიკისრეთ ამ ქვეყანასთან. მათ უფლება აქვთ, დაასაქმონ ჩინელი მუშები. ეს საკმაოდ რთული საკითხია და კარგად არაა შესწავლილი. საიმიგრაციო პოლიტიკა ყველა ქვეყანას აქვს. გარკვეული უკმაყოფილება ჩვენთან არსებობს იმის გამო, რომ მიგრანტთა რიცხვი უკონტროლოდ იზრდება. ევროპის ყველა ქვეყანაში არსებობს რთული კანონმდებლობა დასაქმებასთან დაკავშირებით. მარტივი არაა მუშაობის უფლების მიღება, განსხვავებით საქართველოსგან“.

გოგოლაშვილის თქმით, ქვეყანაში, სადაც უმუშევრობის ისედაც მაღალი დონეა, ასეთი სახის ლიბერალიზაცია საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევს, რაც, იმისი აზრით, ალბათ, გაიზრდება. „მით უმეტეს, რომ საქართველოში განვითარების შიდა რესურსები მაინც ნაკლებია, ჩვენ მაინც უცხოური ინვესტიციების ხარჯზე განვითარების პერსპექტივას ვუყურებთ. ამ პროცესებს, შესაძლოა, მოჰყვეს უკონტროლოდ მაღალი დონის შრომით მიგრაცია. როგორ უნდა მოახერხოს ქვეყანამ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ამ დროს შრომითი მიგრაციის რეგულირება – ამ საკითხს შესაბამისი ყურადღება არ ეთმობა“.

მიგრაციის შესახებ ჯანსაღი დებატების არსებობა მნიშვნელოვანია, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩაანაცვლებს ისტერიული, ნახევრად ტყუილებზე დამყარებული კამპანია, რაც საზოგადოებაში პანიკას შემოიტანს. ამასთან საჭიროა პოლიტიკის ჩამოყალიბება ამ მიმართულებით, რაც მომავალში დაგვიცავს რეალური სარფრთხეებისგან, მიიჩნევს კახა გოგოლაშვილი. „საქართველო პატარა ქვეყანაა, დემოგრაფიული ხასიათის საფრთხეები არსებობს, ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა შემცირებისკენ მიდის, გარედან შემოდინება კი ლიბერალურია და ასევე ლიბერალურია შრომის დაშვება ბაზარზე. ის არ იზღუდება არც უცხოური და არც ადგილობრივი კომპანიებისთვის, ზოგადად, არავისთვის. არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში, სადაც მიგრაციის პრობლემა დგას, არ საკითხები მარტივად არ წყდება. ევროპამ რომ შრომითი ბაზარი გახსნას და სრული ლიბერალიზაცია მოახდინოს, ალბათ, ერთ დეკადაში ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქე სამუშაოს ვერ იშოვის, მათ ჩაანაცვლებენ მოზღვავებული მიგრანტები, რაც დიდ პრობლემას შექმნიდა. ამიტომ, ეს საკითხები კანონით უნდა წესრიგდებოდეს“.

პროფესორი **ლადო პაპავა** „ამერიკის ხმასთან“ საუბრისას ამბობს, რომ ადამიანებს უვიზო რეჟიმთან დაკავშირებით მცდარი წარმოდგენა აქვთ. „ახლა ადამიანებს ჰგონიათ, რომ რაკი უვიზო რეჟიმია, წავლენ ევროპაში და დასაქმდებიან. ეს ამას არ ნიშნავს. ისინი ყველა არალეგალები იქნებიან და ახალ პრობლემას შეუქმნიან, როგორც საკუთარ თავს, ასევე ქვეყანას. რაც შეეხება ქვეყნის შიდა პრობლემას, **აუცილებლად შემოსაღებია შესაბამისი რეგულაციები, რადგან ადამიანებს უნდა ჰქონდეთ განცდა, რომ სახელმწიფო საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნავს. ასეთი განცდა დღეს, სამწუხაროდ, არ არის იმ დონეზე, რომ ადამიანებს არ ჰქონდეთ პროტესტის საფუძველი“,** თქვა პაპავამ.

მისი თქმით, ხელისუფლება ცდილობს, ადვილად იშოვოს სწრაფი ფული. „სწრაფი ფულის შოვნა კი მხოლოდ მარტივი გზებით შეიძლება. ეს ქვეყნის სტაბილურ განვითარებას არ იწვევს. ხელისუფლებამ რომ სწრაფად იშოვოს ფული, ამისთვის რაც შეიძლება მეტი უცხოელი უნდა შემოვიდეს. უცხოელი რომ შემოდის, შემდგომ, შესაძლებელია, ის დარჩეს და დასაქმდეს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს რეგულაციების არსებობას. ბევრ ქვეყანაში, შეიძლება შეხვიდე, მაგრამ მუშაობას ვერ დაიწყებ. ჩვენს ქვეყანაშიც აუცილებელია შესაბამისი რეგულაციების მიღება. საქართველოს აქვს ევროკავშირისკენ ორიენტაცია, ამიტომ ამ სფეროშიც საჭიროა ევროპული ტიპის კანონმდებლობის შემოღება“.

ლადო პაპავა ამბობს, რომ **აქ კანონმდებლობის გამკაცრებაზე არაა საუბარი, ეს არასწორი ტერმინია. რაღაც, შესაძლოა, გამკაცრდეს, რაღაც შერბილდეს, უნდა აეწყოს და მოწესრიგდეს სისტემა და შესაბამისობაში მოვიდეს ევროპულ სტანდარტთან. „ჩვენთან ისეა აღქმული, რომ თუ ამ თემაზე ვლაპარაკობთ, მაინცდამაინც კანონის გამკაცრებას ვგულისხმობთ და ვაითუ რამე ეწყინოს მის აღმატებულება – ბიზნესს, დაახლოებით ასეთი მიდგომაა. ამ დროს, ბიზნესი უნდა იყოს ქვეყნის სამსახურში, ხალხის სამსახურში, რაც, სამწუხაროდ, ჩვენთან ასე არ არის გათვალისწინებული“.**

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის დირექტორი **ნინო ევგენიძე** პრობლემის კომპლექსურობაზე ამახვილებს ყურადღებას, რომლის ცენტრში ის განათლების დეფიციტს ხედავს. „გასულ წელთან შედარებით უკეთესი მაჩვენებლები არ ნიშნავს, რომ ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ყველაფერი კარგადაა. 4, 5 ან 6-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა, ვერ ცვლის სურათს საქართველოში მნიშვნელოვნად, განსაკუთრებით იმ სტრუქტურული პრობლემებისა და წინაღობების ფონზე, რაც გვაქვს. **ეს პრობლემები დაკავშირებულია განათლების, უმუშევრობის, ჯანდაცვის, ზოგადად, სექტორულ რეფორმებთან. რეფორმები დაიწყო წინა ხელისუფლების პირობებშიც, მაგრამ ვერ დასრულდა. ეს სტაგნაცია და ახალი სამუშაო ადგილების არარსებობა დაკავშირებული განათლების განუხორციელებელ რეფორმასთან, ეკონომიკური პოლიტიკის დაუგეგმავობასთან და არათანმიმდევრულობასთან“,** თქვა ევგენიძემ.

გამოკვეთილია ორმაგი თავის ტკივილი მიგრაციისგან: ერთი მხრივ, საქართველოს მოქალაქეების მზარდი სწრაფვა დასავლეთისკენ სამუშაოს საშოვნელად, მეორე მხრივ, შრომითი მიგრაციის ზრდა საქართველოში სხვა ქვეყნებიდან, რომელიც შესაბამისი რეგულაციის მიღმაა დარჩენილი.

მოქალაქეების დაცვა და მათთვის შრომისა და განვითარების ღირსეული პირობების უზრუნველყოფა ისე, როგორც ეს ევროკავშირის ქვეყნებშია, შექმნილი ვითარებიდან საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, თუმცა ეს მართლაც, კომპლექსური საკითხია და პარალელურ რეჟიმში ეკონომიკისა და განათლების პოლიტიკის სინქრონიზაციას მოითხოვს.

„ამერიკის ხმა“

ყველაფერი გაკეთდება ვიზალიბერალიზაციის პრევენციისთვის

ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ ის მიღწევა, რომელიც გვაქვს ევროკავშირთან ურთიერთობაში, შევინარჩუნოთ და ამისთვის ყველაფერი გაკეთდება - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით ე.წ. შეჩერების მექანიზმის ამოქმედების საფრთხეზე დასმული კითხვის საპასუხოდ.

„თავის დროზე როცა მოგვენიჭა ვიზალიბერალიზაცია, ჩვენ განვაცხადეთ, რომ ეს იყო არა მხოლოდ ვიზალიბერალიზაცია, არამედ, პირველ რიგში, პასუხისმგებლობა და ეს პასუხისმგებლობა უნდა გავაცნობიეროთ თითოეულმა ჩვენგანმა როგორც ხელისუფლებიდან, ასევე თითოეულმა მოქალაქემ, რომელიც წარმოადგენს ჩვენს ქვეყანას. ჩვენ, ხელისუფლებას ეს პასუხისმგებლობა გაცნობიერებული გვაქვს, მთავარია, რომ პრევენციული ზომები მივიღოთ იქამდე, ვიდრე პრობლემა გაჩნდება. ჩვენ შესაბამისად ვმოქმედებთ. მთავრობამ მოიწვია შეხვედრა იმისთვის, რომ პრევენციული ზომები გატარდეს და დაისახოს გეგმები. ეს არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, თუმცა მუშაობა უნდა გაგრძელდეს. ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ ის მიღწევა, რომელიც გვაქვს ევროკავშირთან ურთიერთობაში, შევინარჩუნოთ და ამისთვის ყველაფერი გაკეთდება. თუმცა ამას თითოეულმა მოქალაქემ უნდა შეუწყოს ხელი“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

კითხვაზე, შეიძლება თუ არა აღნიშნულთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებებზე იყოს საუბარი, კობახიძემ აღნიშნა, რომ კონსულტაციები პრევენციულ ღონისძიებებზე გაგრძელდება.

არ უნდა მივცეთ საშუალება კრიმინალებს, ხელი შეუშალონ იმ სიკეთეს, რომელიც ვიზალიბერალიზაციამ მოიტანა

„დღეს არ დგას საკითხი შეჩერების მექანიზმის ამოქმედების შესახებ, მაგრამ გარკვეული კითხვები წარმოიშვა,“ – ეს განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შეჩერების შესაძლო საფრთხის შეფასებისას გააკეთა.

მიხეილ ჯანელიძე ამბობს, რომ საქართველო ფარგლებს გარეთ კრიმინალთან ბრძოლას არ შეწყვეტს.

„გარკვეულწილად ხდება თავშესაფრის მოთხოვნა და დანაშაულის ჩადენა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. ამ მიმართულებით, ჩვენი მიზანია, კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი თანამშრომლობა შესაბამის ევროპულ სტრუქტურებთან და ასევე წევრი ქვეყნების სტრუქტურებთან. ძალიან წარმატებით მიმდინარეობს უკვე თანამშრომლობა და აქაც ის მოქალაქეები, რომლებიც ჩადიან კრიმინალის მიზნით, კანონის დასარღვევად რომელიმე ქვეყანაში, აუცილებლად დაისჯებიან. ერთად შევებრძოლებით კრიმინალს არა მარტო საქართველოში, ასევე პარტნიორ ქვეყნებში, სადაც ინფორმაციის გაცვლით და თანამშრომლობით შეგვიძლია, იმ წუხილებს ვუპასუხოთ, რაც ჩვენს პარტნიორებს გააჩნიათ. ჩვენ ნამდვილად არ უნდა მივცეთ საშუალება კრიმინალებს, ხელი შეუშალონ იმ დიდ სიკეთეს, რომელიც მიიღო თითოეულმა ჩვენმა მოქალაქემ. 220-მა ათასმა ადამიანმა ისარგებლა ძალიან დიდი პოზიტივით, რომელიც ვიზალიბერალიზაციამ მოიტანა,“ – განაცხადა ჯანელიძემ.

უსაფრთხოების წესების დარღვევაზე საჯარიმო თანხა 3 000-დან 30 000 ლარამდე იზრდება

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობასთან დაკავშირებული რეგულაციების დარღვევისთვის დადგენილი სანქციები მკაცრდება. შესაბამის ცვლილებებს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი ითვალისწინებს.

დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით, გუშინ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ და თბილისის მერმა კახა კალაძემ სამუშაო შეხვედრა გამართეს და იმ საჯარიმო სანქციებზე ისაუბრეს, რომელიც სამშენებლო სფეროში დასაქმებულ პირს დარღვევის შემთხვევაში დაეკისრება.

„მინდა, პარლამენტს მხარდაჭერისთვის მადლობა გადავუხადო. ცვლილებები, რომლის განხორციელებასაც ვაპირებთ, სამშენებლო ობიექტებზე უსაფრთხოების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია. დედაქალაქში ძალიან ბევრი მშენებლობა მიმდინარეობს და ქალაქის მერიისთვის, თითოეული ჩვენგანისთვის იქ მომუშავე ადამიანების უსაფრთხოება ძალიან მნიშვნელოვანია. არსებული კანონმდებლობით, როდესაც რაიმე დარღვევა იკვეთებოდა, პირველ შემთხვევაში, მათ მხოლოდ და მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება ეძლეოდათ, შემდეგ 3000-ლარიანი ჯარიმა იყო, რომელიც ყოველ დარღვევაზე იზრდებოდა. ცვლილებებით, პირველივე დარღვევაზე ჯარიმა 30 000 ლარის ოდენობით განისაზღვრება იმ კონკრეტულ შემთხვევებზე, სადაც მშენებლობა მიმდინარეობდა და დარღვევების გამო, შეჩერებული იყო“, — განაცხადა თბილისის მერმა.

მისივე განმარტებით, თუ მშენებლობის პროცესის შეჩერების მიუხედავად, კომპანია მუშაობას განაგრძობს, ის 50 000 ლარით დაჯარიმდება. იმ შემთხვევაში კი, თუ ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებაა და მასზე უკანონო მშენებლობა მიმდინარეობს, ჯარიმის ოდენობა 25 000 ლარით, ხოლო კერძო საკუთრებაზე 20 000 ლარით განისაზღვრება.

„ვფიქრობ, ეს ჯარიმები მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ არსებული პრობლემები მოვაგვაროთ. არსებობს ასევე, მენტალური პრობლემა, რაც სამშენებლო სამუშაოების დროს უსაფრთხოების თვალსაზრისით იკვეთება. ჩვენ გვქონდა კონსულტაციები პრემიერ-მინისტრთან, ეკონომიკურ გუნდთან და ამ ცვლილებებს აქვს მაქსიმალური მხარდაჭერა, რომელსაც ვახორციელებთ. შეხვედრა გვქონდა ასევე, მენაშენეთა ასოციაციასთან და მათი მხრიდანაც მაქსიმალური თანადგომაა“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ცვლილებას დაექვემდებარება ასევე, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 51-ე მუხლი და თბილისის ტერიტორიაზე მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 50 000 ლარის ოდენობით, ნაცვლად 5 000 ათასი ლარისა. კანონის აღსრულებას კი, თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური განახორციელებს.

„ნებისმიერ დარღვევაზე, დამრღვევს ჯარიმა 30 000 ლარი გამოეწერება. მშენებლებსაც ვუთხარით, რომ თვითონ უნდა იყვნენ დაინტერესებული, როდესაც ისინი მუშებს ხელშეკრულებას უფორმებენ და თვითონ მუშებმაც უნდა იცოდნენ, თუ რა სანქციები მოჰყვება უსაფრთხოების წესების დარღვევას“, — განაცხადა კახა კალაძემ.

წარმოდგენილი ცვლილებებით ასევე, მკაცრდება სანქციები ზოგადად, უნებართვო მშენებლობაზე. **კერძოდ, სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საჯარიმო სანქცია 10 000 ლარიდან 25 000 ლარამდე გაიზრდება. ასევე, კერძო საკუთრებაში ახალი უნებართვო მშენებლობა ან/და რეკონსტრუქცია, რომელიც პარამეტრებით მიეკუთვნება III და IV კლასს დაექვემდებარება 20 000 ლარით დაჯარიმებას. ასევე, გაიზრდება საჯარიმო სანქციები პროექტის დარღვევით მშენებლობის განხორციელებაზე, კერძოდ, III და IV კლასის ობიექტებზე 15 000 და 20 000 ლარით.**

პარლამენტის თავმჯდომარემ თბილისის მერს ინიციატივისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ქალაქში მშენებლობის მაღალი ტემპი მისასალმებელია, თუმცა ეს მსხვერპლისა და ურბანული დამახინჯების ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. ირაკლი კობახიძის განცხადებით, აღნიშნული ინიციატივის განხილვა პარლამენტში უახლოეს პერიოდში დაიწყება.

პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართულ სამუშაო შეხვედრას თბილისის ვიცე-მერი ირაკლი ხმალაძე, მერის მოადგილეები ირაკლი ბენდელიანი და ილია ელოშვილი, ასევე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ესწრებოდნენ.

სამწუხარო რეალობის წინაშე ვდგავართ: 6-მილიონ კვადრატულ მეტრზე მშენებლობების ნებართვებია გაცემული

„საჩივრები შემოდის. მათ ჩვენი შესაბამისი საქალაქო სამსახური განიხილავს. ეს ჩვეულებრივი პროცესია. არის კონკრეტილი შემთხვევები, სადაც მოსახლეობა არის წინააღმდეგი, რომ კონკრეტული შენობა-ნაგებობა აშენდეს. არის შემთხვევები, სადაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს კონკრეტულ ლოკაციაზე მშენებლობა იმ კონკრეტული პროექტით, რომელიც შეიძლება წლების წინ იქნა შეთანხმებული და დამტკიცებული, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ სახით კონკრეტული პროექტების განხორციელება შეუძლებელი და დამაზიანებელი იქნება ქალაქისათვის. ჩვენ თითოეული პროექტის განხილვა ინდივიდუალურად გვიწევს. ეს საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა. ბევრია ასეთი შემთხვევა. სამწუხარო რეალობის შინაშე ვდგავართ, რადგან დაახლოებით 6-მილიონ კვადრატულ მეტრზე არის მშენებლობების ნებართვები გაცემული“, — განუცხადა ჟურნალისტებს კახა კალაძემ.

იაპონიაში ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა გაიმართა

ქართული ღვინის მასშტაბური პრეზენტაცია იაპონიის დედაქალაქ ტოკიოსა და ქალაქ ოსაკაში გაიმართა.

ტოკიოში გამართულ ღონისძიებას საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი იაპონიაში ლევან ცინცაძე და ჰაცუ ბაშუს ტურნირის ქართველი გამარჯვებული, სუმოისტი ლევან გორგაძე, იგივე ტოჩინოშინი ესტუმრნენ. მათ იაპონელ პროფესიონალებთან ერთად შესაძლებლობა მიეცათ, გაცნობოდნენ ქართულ ღვინოებს. ტოჩინოშინის სტუმრობა გამოფენის ორგანიზატორებისა და მონაწილეებისთვის დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა. ტოკიოსა და ოსაკაში გამართულ ღონისძიებებში ჯამში 35 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის 100-მდე დასახელების ღვინო იყო წარდგენილი. ქართული ღვინის პრეზენტაცია-სემინარს ტოკიოში 350, ხოლო ოსაკაში 300-მდე ღვინის პროფესიონალი დაესწრო: დისტრიბუტორები, იმპორტიორები, სომელიეები, რესტორატორები და ა.შ.

დეგუსტაციებს ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი, ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში უძღვებოდა. კენიჩი ოჰაში ერთადერთი ღვინის მაგისტრია იაპონიაში და იგი წარმოადგენს სააგენტოს კონტრაქტორ მარკეტინგულ კომპანია „Red Bridge“-ს, რომელიც ქართული ღვინისა და მეღვინეობის შესახებ მარკეტინგულ და სარეკლამო კამპანიას იაპონიაში 2017 წლიდან ახორციელებს. ქართული ღვინის ექსპორტს იაპონიაში დიდი პოტენციალი აქვს, და ისევე როგორც მთლიანად აღმოსავლეთ აზიის რეგიონი, იაპონია ქართული ღვინის მზარდ საექსპორტო ბაზარს წარმოადგენს. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, მიმდინარე წელს ქართული ღვინის კომპანიები წარმოდგენილი იქნება იაპონიის მასშტაბურ გამოფენებზე „Wine & Gourmet Show“ და „FOODEX JAPAN“, ასევე სპეციალიზირებულ დეგუსტაციებზე იაპონიის სხვადასხვა ქალაქებში.

ქართული პროდუქცია მილანის საერთაშორისო გამოფენაზე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, ქართული კომპანიები იტალიაში, ქალაქ მილანში ტყავის საერთაშორისო გამოფენაში „LINIAPELLE“ მიიღებენ მონაწილეობას.

აღნიშნული გამოფენა, რომელიც მილანში 20-დან 22 თებერვლამდე გაგრძელდება, ერთ-ერთი ყველაზე მაშტაბურია ამ სფეროში და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ტყავის პროდუქციის ინდუსტრიაში მოღვაწე საერთაშორისო კომპანიებს აერთიანებს. გამოფენა დაახლოებით 22 000-ზე მეტ ვიზიტორს მასპინძლობს, ხოლო მონაწილე კომპანიების რაოდენობა 1 200-ს აღემატება.

ქართული სტენდის ქვეშ გამოფენაზე საკუთარ პროდუქციას სამი ქართული ტყავის პროდუქციის მწარმოებელი კომპანია, კერძოდ: შპს „ფილიმასკა“, შპს „ჯეოპელი“ და შპს „დერი სტანდარტი“ წარადგენს. აღნიშნულ გამოფენაზე, მონაწილე ქართულ კომპანიებს საშუალება ექნებათ, დაამყარონ მნიშვნელოვანი ბიზნესკავშირები და აითვისონ ახალი საექსპორტო ბაზრები. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საagენტო „აწარმოე საქართველოში“ მსგავსი ტიპის ღონისძიებებს პერმანენტულად უწევს ორგანიზებას და აღნიშნული სახის გამოფენებში მონაწილეობით ხელს უწყობს ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველოში 34 ახალი სასტუმრო გაიხსნება

საქართველოში 2018-2019 წლებში 34 ახალი სასტუმროს გახსნა იგეგმება. აქედან 10 აჭარაში, 3 კახეთში, 2 მცხეთა-მთიანეთში, 1 იმერეთში, 1 გურიაში, 1 სამცხე-ჯავახეთში, დანარჩენი კი თბლისში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, სასტუმროების გახსნის შედეგად, ქვეყანას 12 165 სასტუმრო ოთახი და 21 995 განთავსების ადგილი (საწოლი) შეემატება. აღსანიშნავია, რომ 2016-2017 წლებში 48 სასტუმრო გაიხსნა, მთლიანობაში გაჩნდა 3 729 ახალი ოთახი და 8 113 საწოლი ადგილი.

2017 წლის მონაცემებით, ქვეყნის ტერიტორიაზე 1 958 განთავსების ობიექტია, რომელიც მთლიანობაში 66 078 საწოლზეა გათვლილი. საქართველოს ობიექტებიდან ყველაზე დიდი რაოდენობა თბილისზე მოდის, რომელზეც საქართველოში არსებული განთავსების ობიექტების 22% მოდის.

განთავსების ობიექტების რაოდენობის მხრივ მეორე ადგილზეა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი 17.9%-ით, აჭარა — 13,6%. სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვითვე, ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული განთავსების ობიექტებიდან 36% სასტუმროებზე მოდის.



ყვირილი ქალთა უფლებების დაცვაზე აბსურდულია, თუ არ გავითვალისწინეთ მამაკაცთა ინტერესებიც!

... დღეს დასავლეთში ღმერთს, რომის პაპს, ქრისტიანობასა და ეროვნულ იდენტობას თავისუფლების სახელით ებრძვიან. ჩვენთან კი, 90-იან წლებში, თავისუფლებისთვის ბრძოლა სწორედ ღმერთის „ჩვენთან არს“ ძახილით, ეროვნებული მოძრაობითა და ეკლესიის მსახურების თანადგომით დაიწყო. იმედი ვიქონიოთ, რომ იქნებ, სწორედ ამან გადაგვარჩინოს და ბოლოს და ბოლოს ღმერთი ჩვენთან მართლაც „არს და იყოს“. ამისთვის კი საჭიროა კარგად გვესმოდეს, რას ნიშნავს ღმერთი „ჩვენთან არს და იყოს!“

თავდაპირველად კი ღმერთმა მეექვსე დღეს გააჩინა ადამიანი, თავის ხატად და მსგავსად და ქალის შექმნით დაასრულა კიდეც სამყაროს სრულყოფა.

დიახ, ქალი სამყაროს ბოლო და ამიტომ შეიძლება ითქვას, ყველაზე სრულქმნილი არსებაა. იმავდროულად, ქალისა და ოდითგან სიბრძნის სიმბოლოდ წოდებული გვლისაგან მოდის პირველი შეცოდება და სურვილი ხე ცნობადის, კეთილისა და ბოროტის, აკრძალული ნაყოფის დაგემოვნებისა და შეცნობისა.

თუმცა, ეს შეცოდება ხილული სამყაროს შეცნობის რთული, ცოდვით დატვირთული, მაგრამ მნიშვნელოვანი დასაწყისია...

საუკუნეების განმავლობაში ქალის ცხოვრების წესი (განსაკუთრებით საქართველოს რეალობაში), ქალწულობის ინსტიტუტის არსებობით, არასასურველი ფეხმძიმობის საშიშროებით, ფიზიკური სისუსტით, მისი სხვადასხვა მოთხოვნილების შეზღუდვითა და მრავალი აკრძალვით იყო შემოსაზღვრული. ეს ყოველივე ქალში თავდაცვის რეფლექსის გაძლიერებასა და მამაკაცისგან ერთგვარ განრიდებასაც განაპირობებდა. შესაბამისად, ქალის აზროვნება, უმრავლეს შემთხვევაში, მამაკაცის კლასიკური აზროვნებისგან განსხვავებით, მართალია ღრმა და ემოციური, ამავდროულად, შეიძლება ითქვას, შეზღუდულიც კი იყო.

თუმცა, ამ აკრძალვებით, სისუსტითა და დაცვითი თვისებების გამომუშავებით შესაძლებელი გახდა ქალს სიცოცხლის „შემნახავის“, „სიცოცხლის შემოქმედის“ როლი წარმატებით შეესრულებინა. თავის მხრივ, ცხოვრების შედარებით დაცული პირობები ქალს მაღალი მორალური და სარწმუნოებრივი პრინციპების დაცვის საშუალებასაც აძლევდა. შეძლებისდაგვარად, ამ ფუნქციას ასრულებდა კიდეც. ხოლო ქალის დაცვის, მოპოვებისა და დაუფლებისთვის რთული გზა მამაკაცში საკუთარი უპირატესობის შეგრძნებას ბადებდა, რაც ქალზე ზრუნვის მოთხოვნილებასაც აღუძრავდა. ურთიერთობის ინიციატორადაც მამაკაცი გვევლინებოდა, რომელიც მთელი თავისი არსებით იცავდა ქალსაც და ქვეყანასაც ათასგვარი საშიშროებისგან.

მეოცე საუკუნეში, როცა ქალი გათავისუფლდა ზემოთ დასახელებული თითქმის ყველა დამაბრკოლებელი ფაქტორისგან, რომელიც ხელს უშლიდა მის განვითარებას, მისი პოტენციური შესაძლებლობები გაიზარდა, სწორედ ამიტომ, თანდათანობით მას უკვე გააჩნია არა მხოლოდ ქალური ემოციური, არამედ მამაკაცური კლასიკური აზროვნებაც, ანუ მისი აზროვნება გაორმაგდა და შეიჭრა მეცნიერების ყოველ სფეროში. თითქმის ყველა პროფესიაში წარმატებას მიაღწია, სწორედ ამიტომაც თანამედროვე ქალმა XXI საუკუნის რთულ, გაუსაძლის პერიოდს ბევრ მამაკაცზე უფრო მეტად გაუძლო, თავის გადასარჩენად მეტი საშუალება გამოძებნა, გაძლიერდა და ბევრჯერ გამოდევნა კიდეც მამაკაცი თავისი საარსებო სივრციდან.

ბოლოს ქალის „აღმასვლა“ იქამდეც მივიდა, რომ დღეს იგი თითქმის აღარ წარმოადგენს მამაკაცის დაცვისა და ზრუნვის სუსტ ობიექტს.

დიახ, თანდათანობით ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში ყველაფერი გაცილებით უბრალო და ადვილად მისაღწევი გახდა. მკაცრი და დატვირთული ცხოვრების წესმა დროის დეფიციტში მოახვედრა ფიქრი, ოცნება და სხვადასხვა სასიყვარულო გარჯა. ერთგულება პიროვნული განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორადაც დასახელდა. ამაღლებული ემოციური მუხტის დეფიციტმა კი თითქმის ჩაკლა ქალისადმი შორეული, იდუმალი ლტოლვის მოთხოვნილება.

ქალის სექსუალური მრუდი კი თანდათან იზრდება... და ზოგჯერ არცთუ პოზიტიურ კვალს ტოვებს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში.



შესაბამისად, აბსურდულია გენდერული და ფემინისტური ორგანიზაციების ყოველი კეთილშობილური მიზანი მხოლოდ ქალთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, თუ გათვალისწინებული არ იქნა მამაკაცთა ინტერესები, მოთხოვნილებები და რაც მთავარია, მათი პროფესიული რეალიზების საკითხი. მით უფრო, მამაკაცის ქალისადმი გამოვლენილი თითქმის ყოველი აგრესიული ქმედება, ძირითადად, გამოწვეულია საკუთარი არასრულფასოვნების ქვეცნობიერი შეგრძნებით და ქალის სხვადასხვა, არსებული თუ პოტენციური შესაძლებლობისა და წარმატების მიმართ არაჯანსაღი დამოკიდებულებით... (ცხადია, მე ვსაუბრობ არსებულ ტენდენციაზე და, ბუნებრივია, გამოთქმული მოსაზრებები არ ეხება ყველა მამაკაცს და არც ყველა ქალს).

თანდათანობით, ბუნებრივი ემოციური მუხტის ნაკლებობამ, თავის მხრივ, ძალიან გაზარდა ხელოვნურად აღმგზნებ ნარკოტიკულ საშუალებებზე მოთხოვნილება, რომელიც ყოველთვის აღწევს ადამიანის სულიერების არქეტიპულ საზღვრებში და შიშველი ინსტინქტური გამოვლინების გამრავლებასაც განაპირობებს.

სწორედ, ყოველივე ამან გამოიწვია ადამიანში როგორც ლიბიდოს შემცირება, ისე სქესობრივი აქტის დროს ორგაზმის შემცირება და ხშირად მისი არარსებობა.

თუმცა, ამ პროცესში გამაღიზიანებელი ხელოვნურად აღმგზები სხვადასხვა ნარკოტიკული თუ ფიზიკური სექს-ინსტრუმენტები დადებით როლს ვერ შეასრულებს.

სიტყვა „თავისუფალში“ უფლის ფუძედ გამოყენება ჩვენს დაფიქრებას მოითხოვს, რადგან იგი ნათლად მიგვანიშნებს თავისუფლების მცნებაში უფლის ნების გამოვლენის აუცილებლობასა და ღვთიურ არსთან ქართული ენის სიღრმისეულ თანაზიარობასაც. ამიტომ, ამ პრობლემების კარგად გასააზრებლად აუცილებელია ისევ ჩვენს სარწმუნოებას მივუბრუნდეთ.

ამ შემთხვევაში მახსენდება ჩვენი პატრიარქის ბრძნული რჩევები, სადაც ის ყურადღებას ამახვილებდა ცოლ-ქმრის ფაქიზ სიყვარულზე და პატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობაზე. ცხოვრების წეს-ჩვეულებაში კი მიუთითებდა, რომ სასურველია, ცოლ-ქმარს ცალ-ცალკე მოსასვენებელი საძინებელიც ჰქონდეს (რამაც მავანის არასწორი კრიტიკა და სჯა-ბაასი გამოიწვია), მარხვის დასრულებისას დადასტურებულია ადამიანებში ტესტოსტერონის რაოდენობის მომატება.

ადამიანის ნერვული სისტემა და გრძნობათა ორგანოები თავისთავში ბევრ პარადოქსულ შესაძლებლობას მოიცავს, რომლის გამოვლენა სწორედ ღვთის შეწევნით, პატივისცემაზე და სიყვარულზე დაფუძნებული ცხოვრების წესის შემთხვევაშია შესაძლებელი.

ამ მოსაზრებას ადასტურებს დიდი ფიზიოლოგის პავლოვის ერთი მოგონება, რომელიც შემდგომ მისი ბევრი კვლევის ინსპირაციის წყაროც კი გახდა.

ერთ დღეს დიდი მეცნიერი მატარებლით მგზავრობდა. გზა დიდი იყო და დანიშნულ ადგილას მხოლოდ დილით უნდა ჩასულიყვნენ. ღამით დაძინებისას ერთ-ერთმა მგზავრმა შესჩივლა, რომ ძალიან უჭირდა გაღვიძება და მხოლოდ მისი ცოლი ახერხებდა ამას, ყურში ჩასჩურჩულებდა: „გაიღვიძე, დრო მოვიდაო“, ისიც იღვიძებდა.

დილით პავლოვსაც ჩაეძინა და მატარებლის გამცილებლის ხმამ გამოაფხიზლა, მაშინვე შეხედა მის თანამგზავრს, რომელსაც უკვე ხმამაღალი შეძახილებით უშედეგოდ აღვიძებდნენ. პავლოვს გაახსენდა კაცის ნათქვამი და ყურში ჩუმად ჩასჩურჩულა: „გაიღვიძე, დრო მოვიდა!“ მგზავრიც ჩურჩულმა მაშინვე გააღვიძა.დიახ, ზოგჯერ სუსტი გამაღიზიანებელი ფაქტორი გაცილებით დიდ ეფექტს აღწევს, ვიდრე ძლიერი და უხეში! (აქ იმ ხელოვნურ გამაღიზიანებელ საშუალებებს ვგულისხმობ, რომლის შესახებაც ზემოთ ვწერდი).

დიახ, ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანს ყოველთვის გააჩნია ის სულიერი კარიბჭე, რომელიც მზად არის ერთი შეხედვით გამოუვალ მდგომარეობაშიც კი თავისი საზღვრები გააფართოოს, მართალსა და ჭეშმარიტს თავისი ადგილი მიუჩინოს და გაითავისოს. ამისთვის ადამიანს ოჯახში სწორი აღზრდა და საზოგადოებაში ჭეშმარიტი ღირებულებების არსებობა სჭირდება. ხოლო, მავანის გასაგონად ვამბობ: „ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებას ისიც წარმოადგენს, რომ კარგი, მაღალზნეობრივი თვისებები განუვითაროს ერის ხასიათს“, – წერდა სპენსერი.

ყველაფერი ხომ მოგწონთ დასავლეთის და იქნებ ამ ბრიტანელი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის გამონათქვამის სიბრძნეს ჩაწვდეთ და გაითავისოთ. მით უფრო, ყველანი ერთ ნავში ვსხედვართ და ახალ დედამიწას ვერ გამოიგონებთ!

თქვენ კი, ჩემო საყვარელო ახალგაზრდებო, ონავრებო და მემბოხეებო:

მხოლოდ თავისუფლების ძახილითა და ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის ბრძოლით შორს ვერ წახვალთ, რადგან ყველა ბიოლოგიურ მახასიათებელს თავისი ზღვარდადებული პარამეტრები აქვს. მით უმეტეს, იმ მოთხოვნილებებს, რომლის ტყვეობაში ბევრი თქვენგანი იმყოფება! მხოლოდ სულიერებას არ გააჩნია საზღვარი და ერთადერთს მას შეუძლია გამოასწოროს (მონანიებითა და აღსარებით) ადამიანის ფიზიკური ბუნების მიერ დაშვებული შეცდომებიცა და დანაშაულიც.

მართლმადიდებლობა ყველაზე უფრო დემოკრატიული გახლავთ სხვა სარწმუნოებათა შორის. არავის აძლევს ირგვლივ მყოფებზე რაიმე აღმატებულ ან უარყოფითი ზემოქმედების საშუალებას. განსაკუთრებული, დადებითი მნიშვნელობა აქვს სამედიცინო თვალსაზრისითაც. რაც ყველაზე მთავარია, იგი შეესაბამება ჩვენი ერის ტრადიციებს და დადებითად მოქმედებს მის განვითარებაზე. დადებითად მოქმედებს მის როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ სიჯანსაღეზე, ასევე, არ იწვევს იმ ზემგრძნობიარე ანომალიურ გამოვლინებას, რომელიც საკმარისად ხშირად გვხვდება სხვადასხვა რელიგიურ სარწმუნეობასა თუ მით უფრო, სექტაში.

დაბოლოს: იქნებ ჩვენთვისაც მოვიდა დრო, რომ გავითვალისწინოთ ყოველივე ზემოთ თქმული და გავიღვიძოთ.

ხოლო მეცნიერება, რომლის მეშვეობითაც ათეისტები სარწმუნოების დამარცხებას ცდილობდნენ, ძალზე ხშირად ამტკიცებს ურთიერთკავშირს სამეცნიერო მიღწევებსა და ბიბლიურ ჭეშმარიტებებს შორის. მაგალითად, ცოცხალი ორგანიზმების რიგითობა, ისე, როგორც ეს ბიბლიაშია მოცემული, მოსე წინასწარმეტყველის გამოცხადების მიხედვით, პალეონტოლოგებმა მხოლოდ ორი საუკუნის მეცნიერული კვლევისა და ძიების შემდეგ მოახერხეს დაემტკიცებინათ.

ამავე დროს, სამედიცინო გენეტიკის განვითარებამ ცხადყო უჯრედის ინდივიდუალობა და სინატიფე. ამიტომ, სახეობიდან ახალი სახეობის წარმოშობის ევოლუციური თეორია წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. მაშასადამე, ყოველი ახალი სახეობის წარმოშობა ისევ ღვთიურ, შეუცნობელ, დამოუკიდებელ შემოქმედებით აქტად რჩება.

ამავე დროს, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი სულიერად დაკავშირებულია როგორც აწმყოსთან – არსებულ პირობებთან, ისე წარსულსა და მომავალთან. ძვეყნის ეროვნული, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სახე სწორედ ამგვარი განწყობილების შედეგია. რომელიმე ამ კავშირის გაწყვეტა არღვევს ცხოვრების რიტმს და ძარცვავს ადამიანს.

ია საკანდელიძე,
ექიმი, პუბლიცისტი

ქობულეთში ცოლმა ქმარი დაჭრა

ქობულეთში ცოლმა ქმარი დაჭრა. თვითმხილველების ინფორმაციით, ინციდენტი ოჯახურმა კონფლიქტმა გამოიწვია. შემთხვევა გვიან ღამით მოხდა. მამაკაცს ჭრილობები გულ-მკერდისა და მუხლის არეში, სავარაუდოდ, ბასრი საგნით აქვს მიყენებული და მისი მდგომარეობა მძიმეა. 31 წლის მამაკაცს ქობულეთის რეფერალურ საავადმყოფოში ოპერაციაც ჩაუტარდა და ამჟამად ის რეანიმაციაში იმყოფება.

მომხდარზე გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 19.108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს. ბრალდებულის დასაკავებლად მოსამართლის განჩინების საფუძველზე შესაბამისი ღონისძიებები მიმდინარეობს.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲕᲐᲛᲓᲘᲓᲠᲝᲗ ᲦᲐᲠᲘᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲕᲐᲦᲐᲠᲘᲑᲝᲗ ᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲘ!

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ (ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲘᲖᲛᲘᲡ) ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲙᲘᲔᲠᲘ ᲬᲠᲔ

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ იმისა, თუ როგორია ქვეყანაში სიღარიბის წარმოშობის პირველადი მიზეზები, რადგან წარმოიშვება, სიღარიბე თავისთავის კვლავწარმოებას ახდენს და ქვეყანა **სიღარიბის მანკიერ წრეში** ექცევა. როცა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეზღუდული მსყიდველობითი უნარიანობის გამო ვერ ახერხებს საკმარისი რაოდენობის საქონლის შეძენას, ქვეყანაში არასაკმარისად შემოდის **საწარმოო ინვესტიციები,** რაც შეუძლებელს ხდის ეკონომიკის განვითარებას და მოსახლეობის შემოსავლების ზრდას. იქმნება მანკიერი წრე: არაა საკმარისი რაოდენობის ფული — არ იყიდება და არ იწარმოება საკმარისი რაოდენობის საქონელი. არ იწარმოება საქონელი (იმიტომ, რომ არ იყიდება) — არაა სამუშაო ადგილები, დასაქმება და ფული. ამასთან, რაც უფრო მეტია სიღარიბეში მყოფი მოსახლეობის რაოდენობა, მით უფრო რთულია ქვეყნისთვის სიღარიბის მანკიერი წრისგან თავის დაღწევა.

სიღარიბეს ბევრი მიზეზი აქვს, მათ შორის სუბიექტურიც (სიზარმაცე, გაუნათლებლობა და ა.შ.), მაგრამ სიღარიბის მხოლოდ პიროვნულ-სუბიექტორ ფაქტორებზე დაბრალება სწორი არ იქნება. **უმრავლეს შემთხვევაში დამნაშავე მდიდრების ინტერესებზე მორგებული ეკონომიკური სისტემებია, რის გამოც ადამიანთა უმრავლესობას სამეწარმეო საქმიანობაში (ბიზნესში) ჩართვისა და საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესების საშუალება არ ეძლევა.**

სპეციალისტების ერთი ნაწილი სიღარიბე-სიმდიდრის პრობლემას სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის ფორმას უკავშირებს, ხოლო მეორე — საკუთრებისას. ამ უკანასკნელთა აზრით იქ, სადაც კერძო საკუთრება და თავისუფალი კონკურენციაა (კაპიტალიზმი), სიმდიდრეა, ხოლო სადაც სახელმწიფო საკუთრებაზე დაფუძნებული მართული ეკონომიკაა (სოციალიზმი) — სიღარიბე.

სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის ფორმა სიმდიდრე-სიღარიბის მიზეზების ასახსნელად ვერ გამოდგება, რადგან მსოფლიოში ისევეა ბევრი მდიდარი საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო რესპუბლიკა და მონარქიული ქვეყანა, როგორც ღარიბი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის მისაღწევად სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის ფორმას ფატალური მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

ᲠᲐᲒᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲛᲓᲘᲓᲠᲝᲗ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲥᲪᲘᲝᲗ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲔᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲒᲔᲑᲐᲓ

ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ გვიჩვენებს, რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა ეკონომიკურად განვითარებულია და კეთილდღეობის მაღალი დონე იმ ქვეყნებშია, სადაც მაღალია დემოკრატიის დონე, სადაც თავისუფალი და ობიექტური არჩევნები ტარდება, რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი ხალხის წინაშე პასუხისმგებელი კომპეტენტური ხელისუფლების არჩევა, რომელსაც ხალხისა და ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარების უნარი აქვს.

დემოკრატიის საფუძვლის — თავისუფალი და ობიექტური არჩევნების ჩასატარებლად კი აუცილებელია ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფაქტორის — **თავისუფალი ამომრჩევლების** ყოლა, რომლებიც ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე, საკუთარი სინდისისა და პოლიტიკური გემოვნების მიხედვით გააკეთებენ თავისუფალ პოლიტიკურ არჩევანს.

თავისუფალ პოლიტიკურ არჩევანს კი თავისუფალი ადამიანები აკეთებენ. ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში თავისუფალია ადამიანი, თუ ის ეკონომიკურადაა თავისუფალი, თუ მისი კეთილდღეობა სხვის ნებაზე არაა მიბმული და დამოკიდებული. თავისუფლება უფრო ეკონომიკური კატეგორიაა, ვიდრე პოლიტიკური.

ამიტომ, იმისთვის რომ თავისუფალი პოლიტიკური არჩევანის გამომხატველი ამომრჩეველი გვყავდეს, ის, უპირველესად, **ეკონომიკურად თავისუფალი** უნდა გავხადოთ!

ეკონომიკურად თავისუფალია ადამიანი, თუ ის ფლობს საკუთრებას, ქონებას, რომელიც მას ნორმალური არსებობისთვის აუცილებელ შემოსავალს აძლევს. სამუელ ჯონსონის თქმით, ადამიანი ყველაზე უფრო მაშინაა თავისუფალი, როდესაც იგი მნიშვნელოვანი ღირებულების აქტივების მფლობელია. „ნამდვილი ინდივიდუალური თავისუფლება არ არსებობს ეკონომიკური უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის გარეშე“ — მრავალი წლით ადრე შენიშნა ეს მარქსმა.

შეიკრა ლოგიკური ჯაჭვი: ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელია დემოკრატია, დემოკრატიისთვის — თავისუფალი ამომრჩეველი, თავისუფალი ამომრჩევლისთვის — საკუთრება. ე.ი. **დემოკრატიის ქვაკუთხედი საკუთრების მქონე ამომრჩეველია.**

ამდენად, თუ გვინდა დემოკრატიულ, ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოში ვიცხოვროთ, ხალხს, ადამიანებს უნდა გავუჩინოთ შემოსავლის მომტანი საკუთრება, გავხადოთ ისინი **მესაკუთრეები, მქონებელნი! საკუთრების განცდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადამიანის პიროვნული მდგრადობისთვის.**

მაგრამ საიდან და როგორ გავხადოთ ასიათასობით ადამიანი მესაკუთრე და გავუჩინოთ მათ შემოსავალი, როცა ქვეყნის მთელი სიმდიდრე წარმოების საშუალებების ჩათვლით უცხოელებისა და ახალგამდიდრებული ქართველების (ნუვორიშების) 5%-ის ხელშია, რომელიც მათ შეევარდნაძისა და სააკაშვილის პერიოდების უსამართლო პრივატიზაციის დროს მოიპოვეს, რის შედეგადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უქონელ-უპოვრადაა დარჩენილი?!

მატერიალური დოვლათის შემქმნელი ქონების ასეთი არაპროპორციული განაწილება განაპირობებს ასეთივე უთანაბრობას მოსახლეობის შემოსავლებში. ვის ხელშიცაა წარმოების საშუალებები, შემოსავლებიც მის სასარგებლოდ ნაწილდება.

ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲡᲯᲝᲑᲡ?

ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ და კეთილდღეობის უთანაბრობის საზომის — ჯინის კოეფიციენტის თანახმად მდიდრებსა და ღარიბებს შორის უთანასწორობის დონით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა მალის, ტუნისისა და აფრიკის სხვა ღარიბ სახელმწიფოებთან ერთად.

ამ ფონზე გასაკვირი არაა რომ ქვეყანაში ძლიერდება მდიდრების (კაპიტალისტების) საწინააღმდეგო განწყობები. იმატა მემარცხენე ფრაზეოლოგიამ, გახშირდა სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საპროტესტო გამოსვლები, სოციალური მოთხოვნები, კეთილი მოგონებები სოციალიზმზე. ქვეყანაში არსებული სიღარიბე, სიდუხჭირე, სოციალური უთანასწორობა და უსამართლობა ქონების განაწილებაში ამისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის.

იმის მიხედვით, თუ რა შესაძლებლობებს იძლევა ამა თუ იმ სახელმწიფოში არსებული ეკონომიკური სისტემა შემოსავლების მიღებასა და ქონების შეძენა-დაგროვებაში, ადამიანები მსჯელობენ სისტემების ავკარგიანობაზე. ის სისტემა, რომელიც უკეთეს პირობებს ქმნის ადამიანების საქმიანობისთვის, უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და ცხოვრების უფრო მაღალ დონეს, არის უმჯობესი და არჩევანიც მის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲗᲣ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘ?

ᲕᲘᲡᲐᲪ სოციალიზმის პირობებში უცხოვრია, კარგად ახსოვს ამ სისტემის თავმოსაწონი მხარეები: **საყოველთაო დასაქმება, სოციალური დაცულობა, უფასო განათლება და ჯანდაცვა, თანასწორობა (სიღარიბეში), მომავლის იმედი, კეთილი ურთიერთობები ადამიანებსა და ერებს შორის და სხვ.,** მაგრამ სოციალიზმს თან ახლავს უდიდესი ნაკლოვანებებიც: **თავისუფლების შემზღუდავი ტოტალიტარიზმი, კერძო საკუთრებისა და ადამიანის უფლებების უგულვებელყოფა, პირადი ინტერესის უარმყოფელი, რესურსების უყაირათოდ მხარჯველი არაეფექტიანი გეგმიური ეკონომიკა, პროდუქციის დეფიციტი, გაუპიროვნებელი სოციალისტური საკუთრება, ტოტალური კორუფცია და ა. შ.**

კაპიტალიზმს ბევრ ისეთ სიკეთესთან ერთად, როგორიცაა **კერძო საკუთრება, დემოკრატიული თავისუფლებები, კერძო ინიციატივა, პროდუქციის სიუხვე, „თანაბარი შესაძლებლობები“ და სხვ.,** ბევრი მანკიერებაც ახლავს თან: **უმუშევრობა, დიდი ქონებრივი უთანასწორობა, კრიმინალი, სიდუხჭირე, გაუცხოება, მიუსაფრობა....**

მიუხედავად ყველა ამ მანკიერებისა, თუ ვთანხმდებით, რომ ამქვეყნად ყველაზე დიდი ღირებულება თავისუფლებაა **(„თავისუფლების შვენაი სჯობს საშოვნელსა ყველასა!“),** რომელსაც დემოკრატიასა და ცხოვრების უფრო მაღალ დონესთან ერთად კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა უზრუნველყოფს, მაშინ სოციალიზმთან შედარებით უპირატესობა კაპიტალიზმს უნდა მიენიჭოს.

მაგრამ კაპიტალიზმიცაა და კაპიტალიზმიც. მის შიგნით ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული ტიპები **(1. ამერიკული წმინდა, საწარმოო კაპიტალიზმი; 2. სოციალური საბაზრო კაპიტალიზმი; 3. აღმოსავლური სახელმწიფო (კოლექტიური) კაპიტალიზმი)** გამოიყოფა, რომელთა შორის ყველაზე პროგრესულად **სოციალური საბაზრო კაპიტალიზმია** მიღებული, რომელსაც სხვადასხვა სახელით: **„სახალხო“, „სააქციო“, „რეგულირებად“ კაპიტალიზმად, „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოდ“** მოიხსენიებენ, თუმცა რამდენად საყოველთაოა ეს კეთილდეობა, ჯერ კიდევ საკითხავია. კეთილდღეობა რომ საყოველთაო იყოს, ის მეტ-ნაკლები რაოდენობით ყველასთვის უნდა იყოს და არა მხოლოდ საზოგადოების მქონებელი ნაწილისათვის.

ნამდვილად დასაფასებელია აშშ-სა და, განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების წარმატებები როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ სფეროებში. ძალიან კარგია, რომ მმართველი ელიტების მიერ ამ სახელმწიფოების ბიუჯეტებიდან თითქმის 50%-მდე ფინანსები მიიმართება საპენსიო უზრუნველყოფისთვის, სამედიცინო მომსახურების, განათლების ხარჯებისთვის, უმუშევართა დახმარებაზე და ა.შ., მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კაპიტალისტების ბუნება დიდად შეიცვალა. ისინი ძველებურად, ყველა საშუალებით აგრძელებენ ქონების დაგროვებას და გამდიდრებას, რადგან მათი არსებობისა და ბატონობის ძირითად პირობას კერძო პირების ხელში კაპიტალის დაგროვება წარმოადგენს და არა ღარიბთა პატივისცემა და სიყვარული. **„საძულველია მდიდრისთვის ღარიბი, რა მშვიდობა იქნება მდიდარსა და გლახაკს შორის?.... გლახაკნი საძოვარია მდიდრისთვის“** (ზირაქი. თავი XII).

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

„ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ კეთილდღეობის სახელმწიფოს“ მიერ მოსახლეობის სოციალური დაცვისთვის გაღებული სახსრები, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ მისი („ს.კ. სახელმწიფოს“) აპოლოგია მიმართულია იმისკენ, რომ როგორმე გააუბრალოონ, მიაფუჩეჩონ წარმოების საშუალებების ფლობის გადამწყვეტი მნიშვნელობა შემოსავლებისა და მატერიალური დოვლათის განაწილებაში. ყველაფერი კეთდება იმისთვის (სოციალური დახმარებისთვის სახელმწიფო შემოსავლების 50%-იანი გადანაწილებაც კი) რომ წარმოების საშუალებების ფლობის უთანაბრობის საკითხი არ დაისვას, რომ აქცენტი გაკეთდეს „კეთილდღეობაზე“, ყალბ სოციალურ სოლიდარობაზე და არა წარმოების საშუალებების (კაპიტალის) გადანაწილების აუცილებლობაზე, როგორც მოსახლეობის სტაბილური კეთილდღეობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე.

დასავლეთევროპული „აქციონერთა კაპიტალიზმი“ — „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ კაპიტალიზმის ყველაზე პროგრესული ფორმაა, მაგრამ მისგან განსხვავებით საქართველო ამერიკული ტიპის კაპიტალიზმად ყალიბდება, რომელიც უილიამ ჰატონმა **„მეწილეთა კაპიტალიზმად“** მონათლა და რომლის დროსაც კაპიტალს, წარმოების საშუალებებს — ქარხნებს, ფაბრიკებს, პორტებს, ბანკებს და ა.შ. წილობრივად რამდენიმე სუბიექტი ფლობს. აქედან გამომდინარე, საერთო შემოსავლის მფლობელიც რამდენიმე მეწილეა და მთელ მოგებასაც რამდენიმე ადამიანი ინაწილებს, მაშინ, როცა „აქციონერული“, „სააქციო“ კაპიტალიზმის დროს ამგვარი წარმოების საშუალებებს რამდენიმე ასეული ან ათასობით აქციონერი ფლობს და მთელი შემოსავალიც მათ შორის ნაწილდება, რამდენადაც აქციების ფლობა ნიშნავს, რომ ისინი აქციების შესაბამისი ღირებულების ქონების — შემოსავლის მომტანი საკუთრების გარკვეული ნაწილის მფლობელები არიან. ვინაიდან წარმოების საშუალებებს აქციების მეშვეობით ევროპაში მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი ფლობს, ვიდრე შეერთებულ შტატებში, ევროპაში პროცენტულად გაცილებით მეტია საშუალო კლასის წარმომადგენელი. ამის გამო საზოგადოებაში შედარებით მეტი სოციალური თანხმობა, სიმშვიდე და სტაბილურობაა.

ᲠᲐᲒᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲘᲦᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ

ᲙᲐᲠᲒᲘ იყო ისე, როგორც დასავლეთ ევროპაში, ეკონომიკა ჩვენთანაც ბუნებრივი ისტორიული პროცესის გზით თავისუფალი კონკურენციის საფუძველზე განვითარებული იყო, მაგრამ რადგან ეს მომენტი ხელიდან გაშვებულია, არსებულ ვითარებაში ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების პასუხისმგებლობა თავისთავზე მთავრობამ უნდა აიღოს და არ მიანდოს ის მხოლოდ ბაზრის „უხილავ ხელს“ — თავისუფალ კონ-

კურენციას. **თავისუფალი კონკურენცია, მართალია, საუკეთესო, მაგრამ არა ერთადერთი გზაა ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად.** მით უფრო გლობალიზაციისა და ღია საზღვრების პირობებში, როცა **ჩამორჩენილ ქვეყნებს ღია საბაზრო ეკონომიკით არავითარი შანსი არ აქვთ კონკურენცია გაუწიონ განვითარებულ ქვეყნებს, რომლებიც დაინტერესებული არა არიან სხვა ქვეყნების ეკონომიკების განვითარებით და თავიანთი ეკონომიკებისთვის კონკურენტების შექმნით. მათ ჩამორჩენილი (განვითარებადი) ქვეყნები საკუთარი სამრეწველო პროდუქციის გასაღების ბაზრებისა და სანედლეულო ბაზების სახით სჭირდებათ. ამიტომ არ ცდილობენ ისინი ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომიკების განვითარებას, რის გამოც ეს უკანასკნელნი ყოველთვის ჩამორჩენილები იქნებიან, თუ მათ განვითარებაზე ადგილობრივმა ეროვნულმა ხელისუფლებებმა არ იზრუნეს. გლობალიზმთან შერწყმული ლიბერტარიანიზმი ღარიბ ქვეყნებს მუდმივი სიღარიბისთვის წირავს.**

ᲥᲝᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠ?

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ეროვნული პროდუქტის შექმნაში ქვეყნის მთელი მოსახლეობა მონაწილეობს და არა მხოლოდ ფინანსური, სამრეწველო თუ ოლიგარქიული ჯგუფები. შექმნილი დოვლათი კი წარმოების საშუალებების მფლობელთა საკეთილდღეოდ ნაწილდება. სანამ ერთობლივი შრომით შექმნილი ეროვნული პროდუქტი მთელ მოსახლეობაზე მეტ-ნაკლებად სამართლიანად არ გადანაწილდება, სოციალური დაძაბულობა ქვეყანაში არ მოიხსნება.

ქონების სამართლიან გადანაწილებაში არ ვგულისხმობთ, რომ დაჯდება ვინმე „მოსამართლე და მოწყალე“ ქვეყნის სათავეში და დამსახურების მიხედვით ჩამოარიგებს ქონებას. დამსახურების მიხედვით ქონების სამართლიანი განაწილება (გადანაწილებაც) შეუძლებელია. **„თუ შევეცდებით, ყველას თავისი კუთვნილი მივაგოთ, შინააშლილობა გარდაუვალი იქნება,“** აფრთხილებდა თანამედროვეებს ბლეზ პასკალი. ჩვენ ვგულისხმობთ ხელისუფლების ვალდებულებას ისე მოაწყოს ეკონომიკური ცხოვრება, ეკონომიკის ისეთი მექანიზმი შექმნას, რომ სურვილის შემთხვევაში ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა, არა მარტო ფიზიკურად მიიღოს მონაწილეობა საერთო ეროვნული პროდუქტის შექმნაში, არამედ შესაძლებლობის ფარგლებში აქციების სახით შეიძინოს კიდეც მისთვის სასურველი წარმოების საშუალებების ნაწილი, გახდეს წარმოების საშუალებების თანამფლობელი, მესაკუთრე, რაც უფლებას მისცემს, საერთო მოგებიდან აქციების შესაბამისი კუთვნილი წილი მიიღოს. ამ გზით ასიათასობით მოქალაქეს გაუჩნდება შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს მათ ნორმალურ არსებობას, ხოლო სახელმწიფოში სტაბილურობას.

საქართველოს გაურკვეველი მიმართულების ეკონომიკის სააქციო რელსებზე გადასაყვანად საჭირო იქნება სხვადასხვა საინვესტიციო ფონდებისა და სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობით, შესაძლებლად მოკლე დროში, ქვეყნისთვის აუცილებელი რამდენიმე ათეული თუ ასეული საშუალო და მსხვილი საწარმოს აშენება და მათი მოქმედებაში შეყვანისთანავე კერძო პირებზე პრივატიზება მასობრივი აქციონირების გზით.

აქციონირებისთვის საჭირო ფინანსების ერთი ნაწილი მოზიდული უნდა იქნას ამ საწარმოებში დასაქმებული მუშაკების ხელფასებიდან (მათი სურვილისა და თანხმობის შემთხვევაში), ხოლო დანარჩენი — მოსახლეობის დანაზოგებიდან და უძრავი ქონების რეალიზაციიდან.

პერსპექტიული, ეფექტიანი საწარმოების არსებობისას მოსახლეობის საკმაო ნაწილი გამოძებნის საშუალებას აქციების შესაძენად საკუთარი უძრავი ქონების (მიწის, ბინის, აგარაკის, ძვირფასი ნივთების) ან მისი ნაწილის გაყიდვის გზით, რითაც პირდაპირ ინვესტირებას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაში. უამრავ ადამიანს აქვს მეწარმეობისა და ბიზნესის დაწყების სურვილი, მაგრამ დამოუკიდებელი ბიზნესის გამართვისათვის საჭირო ოდენობის თანხებსა და გამოცდილებას ბევრს არ ფლობს. აწყობილ და გამზადებულ საწარმოებში კი, სადაც მათი პარტნიორები გამოცდილი ბიზნესმენები და მენეჯერები იქნებიან, გაბედულად დააბანდებენ საკუთარ სახსრებს. ეს მნიშვნელოვანი შიგა ინვესტიციები იქნება.

ამავე მეთოდით უნდა მოხდეს უკვე არსებული მსხვილი საწარმოების აქციონირება. საყოველთაო აქციონირების გზით შემზადდება საფუძველი ნამდვილად თავისუფალ კონკურენციაზე გადასასვლელად. ახლა, როცა ერთ მხარეს წარმოების საშუალებების 95%-ის მფლობელი რამდენიმე ათეული მულტიმილიონერი დგას, ხოლო მეორე მხარეს გაღატაკებული მილიონები, დაბალი ხელფასის შემყურე ინტელიგენცია და მხოლოდ 10% საშუალო შეძლების მოქალაქეები, ვინ ვის უნდა გაუწიოს კონკურენცია?

ᲠᲐᲡ ᲛᲝᲒᲕᲪᲔᲛᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲐ

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ მასობრივი აქციონირებისას სამმაგი ეფექტი მიიღწევა:

1. ობიექტების ახლანდელ მფლობელებს დამატებითი თანხები შემოუვათ წარმოების განახლების, გაფართოებისა და ახალი ბიზნესების ინვესტირებისათვის, რაც ახალ სამუშაო ადგილებს გააჩენს.

2. ათასობით ადამიანი გახდება საწარმოების თანამფლობელი, რომელთაც გაუჩნდებათ სტაბილური შემოსავალი და ხელი შეეწყობა საშუალო კლასის ფორმირებას.

3. საწარმოების აქციონირებისას მიმოქცევიდან ლარის გარკვეული რაოდენობის ამოღება ხელს შეუწყობს ინფლაციის შეზღუდვას, ლარის სტაბილიზაციას.

ეს არის გზა „მეწილეთა“ ველური კაპიტალიზმიდან აქციონერული საზოგადოებისაკენ, შედარებით სამართლიან სახელმწიფომდე, სადაც, მართალია, მდიდრებიც იქნებიან და ღარიბებიც (სახელმწიფო ყველას ერთდროულად ვერ გაამდიდრებს), **მაგრამ ქონებრივი განსხვავება მათ შორის აღარ იქნება ისეთი კატასტროფული, როგორიც დღესაა, ხოლო ასიათასობით ადამიანს მიეცემა სიღარიბისგან თავის დაღწევის და ნორმალური ცხოვრების შანსი.**

თუ ამ გზით არ წავალთ, ბევრი დრო დაიკარგება, სანამ კერძო პირები თავს მოაბამენ ახალი საწარმოების აშენებას და ბიზნესების გამართვას. ამ დროის განმავლობაში კი ქვეყანა გახდება რამდენიმე შინაური თუ გარეული ბიზნესჯგუფის სათარეშო ადგილი და მივიღებთ იმას, რაც მიიღო ბევრმა ქვეყანამ — **ერთი მხრივ, მცირერიცხოვანთა დიდ სიმდიდრეს, ხოლო მეორე მხრივ, მრავალრიცხოვანთა დიდ სიღატაკეს.**

რით მთავრდება ასეთი პოლუსების შექმნა, კარგად მოგეხსენებათ.

ᲠᲐ ᲓᲐᲣᲑᲐᲠᲐ ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲛᲐ ᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ „ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲒᲝᲜᲔᲑᲐ“?

ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, დაისმება კითხვა — რატომ და რისთვის დათანხმდებიან მდიდრები თავიანთი სიმდიდრისა და ძალაუფლების საფუძვლის, წარმოების საშუალებებზე საკუთრების გადანაწილებას ხალხზე? ხელისუფლება ხომ იმათი მსახურია, ვინც წარმოების საშუალებებს ფლობს?

რასაკვირველია, მქონებელნი ხალისით არ დათანხმდებიან ქონების გადანაწილებას, მაგრამ ისინი საკმაოდ გონიერი ხალხია და იციან, რომ **„ღატაკთა კვნესის წამყრუებელი თავადაც იყვირებს, მაგრამ არ იქნება შეწყნარებული,“** ამიტომ, ხალხურად რომ ვთქვათ, ჩათრევას (რევოლუციას და ყველაფრის დაკარგვას) ჩაყოლა — ქონების გადანაწილება უჯობთ.

მეორე — როგორც მდიდრებს ჩერჩილმა დაუბარა, **„კეთილდღეობა“ (იმათი) სტაბილური რომ იყოს, ის საყოველთაო უნდა გახდეს!“**

მესამეც — გონიერი ხალხი ადვილად გაიცნობიერებს, რომ სმიტისეული მიდგომა, როცა თავისუფალ ბაზარზე ყველა მხოლოდ თავის სასარგებლოდ მოქმედებს, არაოპტიმალურია. თანამედროვე ეკონომიკაში გონივრულად ითვლება სიტუაცია, როცა სუბიექტი მეორე სუბიექტის მდგომარეობის გაუმჯობესებით საკუთარ მდგომარეობასაც იუმჯობესებს („ბრწყინვალე გონების“ ჯონ ნეშის თეორია, რისთვისაც მას ნობელის პრემია მიანიჭეს).

სწორედ ასე მოხდება აქციების მეშვეობით წარმოების საშუალებების გადანაწილებისას. აქციების შემძენთა მდგომარეობაც გაუმჯობესდება და არსებული მფლობელებისაც, რადგან მათ დიდი ოდენობის ფულადი სახსრები გაუჩნდებათ ბიზნესის (წარმოების) გაფართოებისთვის ან ახალი ბიზნესების საწარმოებლად. პარეტოს ფორმულირებას თუ გამოვიყენებთ, **საზოგადოების ერთი ნაწილის — ახალი აქციონერების კეთილდღეობის დონის ზრდა არ შეამცირებს მეორე ნაწილის— ძველი მეპატრონეების კეთილდღეობის დონეს** („პარეტოს ოპტიმუმი“).

დაპირისპირებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა ძნელი მისაღწევია, მაგრამ თუ ეს თანამშრომლობა ორივე მხარეს უკეთეს მდგომარეობაში აყენებს, ის მიიღწევა. მით უმეტეს, თუ ამას სახელმწიფოც შეუწყობს ხელს. საოცარია, მაგრამ ჯერ კიდევ კაპიტალიზმის გარიჟრაჟზე აღნიშნავდა ადამ სმიტი რომ საკუთრების მფლობელთა ინტერესებში უნდა შედიოდეს კეთილდღეობის გადანაწილება საზოგადოებაზე და „ეთიკური“ მფლობელი ასეც მოიქცევა-ო.

ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲔ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲘᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲡ

ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ პოლიტმიზნების განხორციელების რევოლუციურმა გზამ რაც მოუტანა დაპირისპირებულ მხარეებს და კონკრეტულ ქვეყნებს, ვნახეთ, ამიტომ ის არ შეიძლება მხარდაჭერილი იყოს. ამავე დროს, წარმოების საშუალებების მფლობელ და ამ საშუალებების არამფლობელთა შორის არსებული დაპირისპირება განმუხტვას რომ მოითხოვს, ესეც ნათელია.

როგორც „დაიკავე უოლ-სტრიტის“ ამერიკულ-ევროპულმა მასშტაბურმა აქციებმა დაგვანახა, უზარმაზარი ქონებრივი უთანასწორობის, უსამართლო პრივატიზაციის თუ სხვადასხვა გზებით მიტაცებული ქონების სამართლიანი გადანაწილებისა და ლეგიტიმაციის პრობლემა მთელ მსოფლიოში დგას. ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის 5% ფლობს მთელი სიმდიდრის 80-90%-ს, ხოლო მილიონობით ადამიანი გაჭირვებაში იმყოფება, სიმშვიდე ვერ დაისადგურებს. სამართლიანობის მხრივაც ის, რაც მთელ ქვეყანას ეკუთვნის: ბუნებრივი მონოპოლიები, პორტები, რკინიგზა, სტრატეგიული და სასარგებლო წიაღისეული, მათ მოპოვება-გადამუშავებაზე დაფუძნებული ქარხნები, ტყეები, მდინარეები, სახელმწიფო სახსრებით შექმნილი მსხვილი ენერგეტიკული ობიექტები და ა.შ. მთლიანად ხალხს უნდა ემსახურებოდეს და არა მის ერთ ნაწილს ან ჯგუფს. იმისგან, რაც ეროვნულ სიმდიდრეს წარმოადგენს, სიკეთე, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველამ უნდა მიიღოს. **ეკონომიკაში კი სიკეთის გადანაწილების ყველაზე კარგი და სამართლიანი გზა აქციონირებაა, რომელიც უნდა გახდეს ეკონომიკის მამოძრავებელი ძრავა. დანარჩენი — ინვესტიციები, ტურიზმი, კონკრეტული დარგების განვითარება და ასე შემდეგ, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმეა.**

ᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡ „ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲐ“

„ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ფარგლებში მდიდრების ხელისუფლების მიერ 50%-მდე სახელმწიფო შემოსავლების გადანაწილება ნაკლებშემოსავლიანთა და ღარიბთა სასარგებლოდ იძულებითი ღონისძიებაა, რომელიც დროებით ანელებს დაპირისპირებას მქონებელთა და უქონელთა შორის. ასეთი „სოლიდარობით“ მდიდრები საკუთარ უსაფრთხოებას ყიდულობენ და წარმოების საშუალებებზე თავიანთ საკუთრებას იცავენ. **ნამდვილი სოლიდარობა არა სოციალური დახმარებების გაწევასა და გაცემაშია, არამედ პარტნიორობაში წარმოების საშუალებების გადანაწილებისას.**

ჭეშმარიტად საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო საყოველთაო სოლიდარობისა და პარტნიორობის გარეშე არ მიიღწევა. პარტნიორობა წარმოების საშუალებების ფლობაში კლასთაშორისი (სოციალურ ჯგუფთაშორისი) სოლიდარობის პრაქტიკული რეალიზაცია იქნება. ნამდვილი სოლიდარობა სწორედ ამაში გამოიხატება. **პარტნიორობა წარმოების საშუალებების ფლობაში არის გზა ფსევდოსაყოველთაო „კეთილდღეობის სახელმწიფოდან“ ჭეშმარიტად საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფომდე.**

ᲐᲠᲪ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘ, ᲐᲠᲪ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘ. ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡᲐᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალიზმსაც და კაპიტალიზმსაც თავთავიანთი დადებითი მხარეები აქვთ, მაგრამ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ეკონომიკური სისტემების მექანიკური შეჯვარება შეუძლებელია — სოციალიზმი ძირშივე უარყოფს თავისუფლების საფუძველს — კერძო საკუთრებას, მაგრამ ისიც კარგად ცნობილია, რომ უკიდურესობები ბოლოს ერწყმიან ერთმანეთს (კონვერგენცირდებიან).

ამდენად, თუ კაპიტალისტურ „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თავისი კერძო საკუთრებითა და დემოკრატიული თავისუფლებებით, თავისუფალი კონკურენციითა და სოციალური დაცვის საკმაოდ მაღალი დონით შეერწყმება მეტ-ნაკლები თანასწორობა წარმოების საშუალებების ფლობაში და სოციალიზმისათვის დამახასიათებელი სოციალური დაცულობის სერვისებიც გაფართოვდება საყოველთაო უფასო ჯანდაცვითა და განათლებით, საბინაო უზრუნველყოფითა და უმუშევრობის დახმარებებით, მივიღებთ რაციონალურ პრინციპებზე დაფუძნებულ პარტნიორულ, სოციალურად სოლიდარულ საზოგადოებას, კეინსისა და ერჰარდის ნალოლიავებ „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ გაუმჯობესებულ ფორმას, რომელზეც სამასი წლის წინათ პროგრესული კაცობრიობის მედროშეები, ფრანგი განმანათლებლები ოცნებობდნენ — თანასწორთა შორის მცხოვრებ თავისუფალ ადამიანთა საზოგადოებას, სადაც **„მოსპობილი არ იქნება კერძო საკუთრება, არც ქონებრივი უთანასწორობა, ხოლო შრომა ყველასთვის სასიამოვნო ვალდებულებად გადაიქცევა“** (ვოლტერი).

ასეთ ახალ სოლიდარულ საზოგადოებას, ეკონომიკურ სისტემას, მთლიანად საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციასაც კი თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ დემოკრატიული სოციალიზმი (სოლიდარიზმი).

დემოკრატიული სოციალიზმი თავისთავში გააერთიანებს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის საუკეთესო მხარეებს: კერძო საკუთრებას, თავისუფალ კონკურენციას, სოციალურ დაცულობას, სოციალურ სოლიდარობას, პარტნიორობას სოციალურ ჯგუფებს შორის და ა.შ. მასში პრაქტიკულად განხორციელდება საბაზრო კონკურენციის მოთხოვნების შეთანაწყობა საზოგადოებაში სოციალური თანხმობისა და სოლიდარობის აუცილებლობასთან.

ზემოაღნიშნული ეკონომიკური სისტემა ერთნაირად მისაღებია პოლიტიკური მმართველობის ნებისმიერი ფორმისთვის, იქნება ეს საპრეზიდენტო რესპუბლიკა, საპარლამენტო თუ კონსტიტუციური მონარქია.

დემოკრატიული სოციალიზმის დროს წარმოების საშუალებები საზოგადოების უმრავლესობის ხელში იქნება და არა მხოლოდ მისი ერთი პრივილეგირებული ნაწილის, როგორც ახლაა.

დემოკრატიული სოციალიზმის დროს, კერძო საკუთრების პირობებში, რეალურად განხორციელდება სოციალისტური პრინციპი — „მიწა გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები მუშებს“. **საწარმოები, ფაბრიკა-ქარხნები რეალურად, გაპიროვნებულად, აქციების წილის შესაბამისად მშრომელების საკუთრებაშიც იქნება და არა მხოლოდ მდიდრების.**

დემოკრატიული სოციალიზმი არ არის სოციალ-დემოკრატია. როგორც რუსთაველი ბრძანებდა „იგი სხვაა, ...შუა უზის დიდი მზღვარი“.

დემოკრატიული სოციალიზმის დროს მაქსიმალურად გაიზრდება შრომისნაყოფიერება, რადგან ადამიანები საკუთარ საწარმოში გაცილებით ნაყოფიერად შრომობენ. ნაყოფიერი, თავდადებული შრომა კი მოიტანს სიმდიდრეს და კეთილდღეობას. რამდენიც არ უნდა ეკამათონ „კაპიტალის“ ავტორს, **სიმდიდრე სხვა არაფერია, თუ არა ნაყოფიერი შრომის ნამრავლი ნამუშევარი საათების რაოდენობაზე.**

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ,
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ენერგეტიკის აკადემიის ნამდვილი წევრი

ასე ამბობდა ალბერტ აინშტაინი



რუსული ტექსტი ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

1949 წლის 22 თებერვალი, მაძს ბროდს:

„თქვენმა რისხვამ ლონდონის „თაიმსის“ ლიტერატურულ დამატებაში დაბეჭდილი რეცენზიის გამო, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა. ვიღაცა უბადრუკი საფასურის გამო და ზერელე ნაცნობობის შედეგად რაღაცა დაუჯერებელსა და საეჭვოს ლაპარაკობს, რასაც არცვინ ყურადღებით არ კითხულობს. როგორ გეკადრებათ, რომ ყველაფერს ჭეშმარიტებად იღებთ? ჩემზე იმდენი თავხედური სიცრუე და ჩმახი დაახვავეს, რომ დიდი ხნის მიბარებული ვიქნებოდი მიწას, ყოველგვარი სისულელისთვის ყურადღება რომ მიმექცია. თავი იმ აზრს უნდა დაამშვიდებინო, რომ დრო ის საცერია, რომელიც ყველაფერს გაცრის და ძალიან ბევრ რასმე დავიწყების ოკეანეში ჩაყრის. თუმცა, რაც გაცრის შემდეგ რჩება, ხან ისიც ბანალური და ამაზრზენია“.

* * *

1945 წლის 2 ივლისი:

„პატივცემულო მ-რ რაინერ, 10 ივნისს მივიღე ეს წერილი. არცროდის ადრე არ მისაუბრია იეზუიტ მღვდელთან და გაკვირვებული ვარ ამ უტიფრობითა და ტყუილით, რაც პირადად მე მაკადრეს. იეზუიტი მღვდლის თვალსაზრისით, მე, რასაკვირველია, ყოველთვის ათეისტი ვიყავი და ისევ ათეისტად ვრჩები. თქვენი კონტრარგუმენტები სრულიად სწორად მიმაჩნია და საეჭვოა, რომ უკეთესად ჩამოეყალიბებინა ვისმე. ჩვენ თვინიერად უნდა მოვიხიბლოთ ამა ქვეყნის მოწყობის ჰარმონიით და რამდენადაც შეგვიძლია ჩავწვდეთ, მეტი არც არაფერია საჭირო.

საუკეთესო სურვილებით და გულწრფელად თქვენი

ალბერტ აინშტაინი

ასლი ლეიტენანტ გლინდენს“.

* * *

1949 წლის 28 სექტემბერი:

„ძვირფასო მ-რ რაინერ,

დიდი კმაყოფილებით ვასკვნი თქვენი 25 სექტემბრის წერილიდან, რომ თქვენი მრწამსი ძალიან ახლოა ჩემს მრწამსთან. რახან თქვენს განსჯას ვენდობი, გენდობით აგრეთვე, რომ 1945 წლის 3 ივლისის ჩემი წერილი ისე გამოიყენოთ, როგორც თქვენ საჭიროდ მიიჩნევთ.

მე მუდმივად ვიმეორებ, რომ ღმერთი-პიროვნების იდეა მიამიტურია. შეგიძლიათ აგნოსტიკოთ მიმათვალოთ, მაგრამ რა ვქნა, არ მესმის და ვაკრიტიკებ ნამდვილი ათეისტების მებრძოლურ სულისკვეთებას, რომელ ათეისტთა მგზნებარება უნდა აიხსნას ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში რელიგიური აღზრდის ბორკილებიდან მტკივნეული თავის დაღწევით. ჩემთან ბევრად ახლოა თვინიერი დამოკიდებულება და თვით ჩვენი არსებობა.

გულწრფელად თქვენი

ალბერტ აინშტაინი

* * *

1936 წლის 26 მაისი აინშტაინი — კოლორადოელ კორესპონდენტს:

„გარე მოვლენებს, რომელთაც შეუძლიათ ადამიანის აზრებისა და საქციელის მიმართულების განსაზღვრა, როგორც ჩანს, ყოველი ადამიანის ცხოვრებაში აქვთ ადგილი. მაგრამ ადამიანების უმრავლესობაზე ასეთი მოვლენები, პრაქტიკულად, ზეგავლენას ვერ ახდენენ. პატარა ბიჭი რომ ვიყავი, მამაჩემმა კომპასი მიჩვენა და უნდა ითქვას, რომ ამ უძლიერესმა შთაბეჭდილებამ, რაც მან ჩემზე მოახდინა, დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში.

ამგვარად, პირველად გავიგე რიმანის მუშაობის შესახებ, როცა ფარდობითობის ზოგადი თეორიის ძირითადი პრინციპები უკვე კარგა ხნის ჩამოყალიბებული მქონდა.

* * *

1952 წლის 7 ივლისს ნიუიორკელმა მხატვარმა წერილი მისწერა მეცნიერს და 10 ივლისს აინშტაინმა პრინსტონიდან პასუხი გაუგზავნა:

„უსაზღვროდ მადლობელი ვარ 7 ივლისის წერილისთვის. თქვენ წარმოადგენთ უგამონაკლისოდ ყველა იმ ცარიელი ფრაზის საკუჭნაოს თუ სათავსს რომელი ფრაზებიც მოდად ექცათ ამ ქვეყნის განათლებულ ადამიანებს. დიქტატორი რომ ვიყო, უსათუოდ ავკრძალავდი ყველა ამ მნიშვნელობადაკარგული ფრაზის განმეორებას“.

* * *

1931 წ. აინშტაინი ჰყვეგა მეფის სასახლეში თავისი სტუმროების შესახებ:

„...ამ ხალხმა ამაღელვებელი სითბოთი მიმიღო. ყველანი გულწრფელი და კეთილი ადამიანები არიან. დაახლოებით ერთ საათს ვსაუბრობდით, რის შემდეგაც დედოფალთან ერთად კვარტეტი და ტრიო დავუკარით. ასე გაირბინა რამდენიმე თავშესაქცევმა საათმა. როცა ყველანი წავიდნენ, მე მეფეებთან სადილად დავრჩი. ჯერ ისპანახი მოიტანეს და წამისუმალ კვერცხიანი შემწვარი კარტოფილი მოაყოლეს. ძალიან მომეწონა იქაურობა და მჯერა, რომ მართლა კარგი რამ არის ურთიერთპატივისცემის გრძნობა“.

* * *

1952 წლის 17 მარტს აინშტაინი — ერთ-ერთი ინგლისური სკოლის დირექტორად არჩევის გამო წერილს უგზავნის:

„როგორც უკვე არაახალგაზრდა მასწავლებელმა, დიდი სიხარულითა და სიამაყით შევიტყვე ახალი ამბავი თქვენი სკოლის რექტორად ჩემი არჩევის თაობაზე. მაგრამ, ჩემი ბოშური ბუნების მიუხედავად, მაინც რესპექტაბელურობისკენ ვიხრები. უნდა ვაღიარო, რომ განცვიფრებული ვიყავი, რაკი ჩემთან შეუთანხმებლად ამირჩიეთ“.

* * *

1931 წლის 9 თებერვალს აინშტაინი დედოფალ ელისაბედს სწერს სანტა-ბარბარადან კალიფორნიაში:

„უკვე ორი დღეა, რაც ამ სამოთხეში ვარ, სადაც არც ქარია, არც სიცხე და არც სიცივე. გუშინ მართლაც ზღაპრული ვილა მაჩვენეს, სადაც თქვენ ახლახან რამდენიმე შესანიშნავი დღე გაატარეთ. აი, უკვე ორი თვეა, რაც წინააღმდეგობათა და მოულოდნელობათა ქვეყანაში ვარ. აქ ან მუდმივად აღფრთოვანებული ხარ, ან ნაღვლიანად აქნევ თავს და თანდათან იწყებ იმის შეგნებას, თუ რარიგ შეჩვეული ხარ ბებერ ევროპას თავისი პრობლემებითა და საზრუნავით, მაგრამ მაინც სიხარულით ჩამოდიხარ აქ“.

* * *

1921 წლის 14 მარტი. მეგობარ ჰენრიხ ზანგერს:

„ამ შაბათს ამერიკაში მივეშურები... ოღონდ არა იმიტომ, რომ უნივერსიტეტებში გამოვიდე, არამედ იმისთვის, რათა ხელი წავაშველო იერუსალიმში ებრაული უნივერსიტეტის დაფუძნებას, აუცილებლად მიმაჩნია ამ მიზნის გულისთვის რამე სასარგებლო საქმის მოღონისძიება“.

* * *

1936 წლის 4 მაისი

„ძვირფასო შთამომავალნო!

...უკეთუ ბევრად უფრო სამართლიანები და მშვიდობისმოყვარენი არ გამხდარხართ, ჯანდაბას. ეს სურვილი დიდი პატივისცემით იმ კაცმა წარმოთქვა, ვისაც ალბერტ აინშტაინს ეძახდნენ“.



დასასრული. დასაწყისი იხ. №14-22, 25-34

◎ პროტესტი

ღია წერილი ბატონ ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ თქვენი ოჯახის ოფიციალურ ვებგვერდზე „საქართველოს სამეფო სახლი“ (http://www.royalhouse.org.ge/ დანართში №7) განთავსებულ საქართველოს სამეფო სახლის კანცელარიის **2010 წლის** განცხადების დანართში №7, გაუგებარი გზით აღმოჩნდა ციტატა ჩემი მონოგრაფიიდან „იმერეთის სამეფოს გაუქმება, იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები“, რომელიც **2012 წელს,** შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით გამოვეცი.

გარდა წლებთან დაკავშირებული კურიოზისა, წაყენებული მაქვს აბსურდული ბრალდება: თითქოსდა, დავამახინჯე დოკუმენტი, რომელიც როსტომ ბაგრატიონს შეეხება: „თუ შევადარებთ რუსულ ორიგინალ ტექსტს, მის ქართულ თარგმანთან, რომელიც ქ-ნ მ. ხომერიკს ეკუთვნის, ნათლად ვლინდება „მთარგმნელის“ მიერ ორიგინალი ტექსტის დამახინჯება, რადგან **уроженец Имеретинского Княжества** ითარგმნება შემდეგნაირად — იმერეთის სამთავროს მცხოვრები და არა „იმერეთის სამთავროდან“, თან, რატომღაც ბრჭყალებში?!“ ვფიქრობ, ძნელი არ არის (თუნდაც რუსულ-ქართული ლექსიკონის მეშვეობით), დარწმუნდეთ, რომ სიტყვა **УРОЖЕНЕЦ** — „მცხოვრებს“ არ ნიშნავს. გარდა ამისა, პიროვნება, რომელიც დოკუმენტშია დასახელებული, წარმოშობით იმერეთიდან იყო, მაგრამ წლების მანძილზე და ამ მოცემული დოკუმენტის შედგენის დროისათვის პეტერბურგში ცხოვრობდა, რადგან იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყებაში მონაწილეობის გამო, სამშობლოში დაბრუნება აკრძალული ჰქონდა.

რუსი ჩინოვნიკების მიერ შეთითხნილ დოკუმენტში იმერეთის სამეფო „იმერეთის სამთავროდ“ იწოდება. მე ჩემი პროტესტი ბრჭყალებში ჩასმით გამოვხატე, რამაც თქვენი აღშფოთება გამოიწვია. საინტერესოა, თქვენ როგორი რეაგირება მოახდინეთ იმერეთის ისტორიის ასეთ უხეშ დამახინჯებაზე? ალბათ, ჩემი შეხსენება არ უნდა იყოს საჭირო, რომ იმერეთის ისტორია სრულიად საქართველოს ისტორიის ნაწილია. იმერეთის სამეფოს სამთავროდ გამოცხადება და დაკნინება ზოგიერთი ვაი-მკვლევარის ინტერესებშია. ამჯერად არ შევეხები იმერეთის სამეფოს და იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებულ სხვა უზუსტობებს, რომელთა ერთი ნაწილი განხილული მაქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეში (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია: № 2. 2017).

დაბეჯითებით გთხოვთ, დაავალოთ თქვენს გვერდზე ამ ტექსტის განმთავსებელს, რომ განცხადებიდან ამოიღოს ჩემი სახელი.

მანანა ხომერიკი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
„იმერეთის მეფეთა შთამომავალთა საზოგადოების“ აღმასრულებელი მდივანი.

ნატო რუსეთს ბირთვული შეთანხმების დარღვევაში ადანაშაულებს

ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, რუსეთი ახლო და საშუალო მანძილის რაკეტების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ხელმოწერილ შეთანხმებას არღვევს.

როგორც სტოლტენბერგმა Bild-თვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, აღნიშნულმა ფაქტმა შესაძლოა, ევროპაში ბირთვული შეიარაღების გამალებული სწრაფვა გამოიწვიოს. „ბირთვული არსენალის მოდერნიზირებით და ბირთვული სწავლებების გამართვით, რუსეთმა ევროპაში შესაძლოა, ბირთვული შეიარაღების გამალებული სწრაფვა გამოიწვიოს. ამერიკამ დაადგინა, რომ რუსეთი არღვევს შეთანხმებას და გეგმავს შეიმუშაოს და გამოსცადოს საშუალო მანძილის რაკეტა. ნატოს ყველა პარტნიორი ქვეყანა შეშფოთებულია“, – აღნიშნა სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალური მდივანი მოუწოდებს რუსეთს შეთანხმება არ დაარღვიოს, ასევე სამხედრო ობიექტების და სამხედრო სწავლებების გამჭვირვალობა უზრუნველყოს. ახლო და საშუალო მანძილის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმებას ხელი 1987 წლის 8 დეკემბერს, საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის მოეწერა.

„ნატოს გაფართოება შეცდომა და ჯენტლმენური შეთანხმების დარღვევაა“

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, დასავლეთმა პირობა დადო, რომ ნატო „ერთი დიუმითაც“ არ გადაადგილდებოდა აღმოსავლეთით, თუმცა საბოლოო ჯამში „არაჯენტლმენურად“ მოიქცა და ცივი ომის შემდეგ მიღწეული „რკინის ხელშეკრულებები“ დარღვია.

„ნატოს გაფართოება შეცდომა და ამავე დროს, იმ ჯენტლმენური შეთანხმების დარღვევაა, რომელიც დადასტურებულია აშშ-ის საიდუმლო, ოფიციალურ საარქივო დოკუმენტებში. დასავლეთმა ნატოს გაფართოება აირჩია, 1990-იან წლებში დადებული შეთანხმების სანაცვლოდ. მაშინ, აშშ-მა და ევროპულმა ქვეყნებმა პირობა დადეს, რომ ალიანსი აღმოსავლეთისკენ არ გადაადგილდებოდა“, – განაცხადა ლავროვმა „ბეტასთან“ ინტერვიუში. მისი თქმით, დასავლეთს ჰქონდა უნიკალური ისტორიული შანსი, უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის სფეროში ჩამოეყალიბებინა საერთოევროპული სტრუქტურა.

◎ ექიმთან მიღებაზე

რა სენით იტანჯებოდნენ ცნობილი ადამიანები



ჩარლზ დარვინი

საძვეყნოდ ცნობილი მეცნიერი-ნატურალისტი ჩარლზ დარვინი 1809 წელს ედინბურგში დაიბადა. დედა მას 8 წლისას გარდაეცვალა და ამიტომ თითქმის არც ახსოვდა. მეუღლის გარდაცვალებისთანავე მამამ პატარა ჩარლზი სკოლაში მიაბარა, სადაც, მისივე აღიარებით, თავი არაფრით გამოუჩენია.

სკოლის დამთავრების შემდეგ ჩარლზ დარვინი ედინბურგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შევიდა, მაგრამ იქაური ლექციები მალევე მოსწყინდა, პრაქტიკული მეცადინეობები კი დაუნდობელი ეჩვენა, ამიტომ სწავლას თავი დაანება.

ძმისშვილთან სტუმრობისას, ბიძამ ჩარლზს ერთხელ ამცნო, რომ მისი ნაცნობი კაპიტანი ცეცხლოვანი მიწისკენ გამგზავრებას აპირებდა და მეგზურად ნატურალისტს ეძებდა. ასე დაიწყო ჩარლზ დარვინის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეპოპეა – სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობა ხომალდ „ბიგლით“, რომლის დროსაც იგი ბიოლოგიამ იმდენად გაიტაცა, რომ ევოლუციის პროცესებზე და სახეობათა წარმოშობაზე დააფიქრა, რის შედეგად მან სერიოზულად მიჰყო ხელი სამეცნიერო კვლევებს, რამაც საბოლოო ანგარიშით სახელი მთელ მსოფლიოში გაუთქვა.

ხუთწლიანი მოგზაურობის შემდეგ ინგლისში დაბრუნებული ჩარლზ დარვინი ერთბაშად უამრავი ბიოლოგიისა და გეოგრაფიის წრის წევრი გახდა და მეცნიერულ მუშაობაში ჩაეფლო. მისი ჯანმრთელობის გაუარესებაც სწორედ ამ დროს დაიწყო. იგი თავის ტკივილებსა და გულის უკმარისობას უჩიოდა, სხეულზე დროდადრო გამონაყარი უჩნდებოდა, კუჭი ხშირად ეშლებოდა. ექიმებმა მისთვის დიაგნოზის დასმა ვერ შეძლეს – ხან სამკურნალო წყლებს უნიშნავდნენ, ხანაც დამამშვიდებელ წამლებსა და დიეტას. თავად დარვინი საკუთარ ჯანმრთელობას დიდი გულისყურით ეკიდებოდა. მისმა იპოქონდრიამ იმ დონეს მიაღწია, სიცოცხლის ბოლო წლებში იგი სახლიდან მეუღლის გარეშე არ გადიოდა.

ამასთან, დარვინი საგანგებო სამედიცინო დღიურს აწარმოებდა, რომელშიც თავის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ჩანაწერებს დღეში ორჯერ აკეთებდა, თუმცა კი, მისივე თქმით, „თავს მუდამ ცუდად გრძნობდა – ხან ოდნავ უკეთესად, ხან უარესად“.

„იგი აღნიშნავდა, თუ რამდენჯერ იღვიძებდა ღამე, რამდენჯერ სტკიოდა ყელი თუ კბილები, რამდენჯერ ცივდებოდა, როგორი გამონაყარი ჰქონდა, რამდენჯერ ერეოდა გული, რამდენჯერ აიტანდა კანკალი“, – წერდა მისი ბიოგრაფი ირვინგ სთოუნი. თანამედროვე მკვლევართა აზრით, ეს იყო **შაგასის დაავადების** გამოვლინება, რომელიც სამხრეთ ამერიკაში მობინადრე ბაღლინჯოებს გადააქვთ. ეს სნეულება მას, როგორც ჩანს, „ბიგლით“ მოგზაურობისას შეეყარა. ავადმყოფობის მწვავე სიმპტომებია გამონაყარი და ციება, ხოლო როცა გარე სიმპტომები ცხრება, შემდეგ შინაგანი ორგანოები – გული, კუჭ-ნაწლავი ზიანდება, წარმოიშვება ნევროლოგიური სიმპტომები.

ამ სნეულებისა და დეპრესიისადმი მიდრეკილების მიუხედავად, ჩარლზ დარვინმა დიდხანს იცოცხლა. იგი 73 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა.

თანამედროვე მიდგომა:

შაგასის ავადმყოფობის განსაკურნად ამჟამად ანტიპარაზიტულ საშუალებებს იყენებენ. სნეულების პირველ სტადიებზე მკურნალობის ეფექტიანობა 100 პროცენტს შეადგენს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წამლებს გარკვეული უკუჩვენებები ახლავს, თანაც დაავადების ქრონიკულ შემთხვევებში მათი ეფექტიანობა კლებულობს, ამიტომ, პარაზიტების მოშორება ყოველთვის ვერ ხერხდება.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

კარიერის დაგეგმვა ტურიზმის სფეროში

ტურიზმის სფეროში კარიერის დასაგეგმად სტუდენტებისთვის 27 თებერვალს გამოფენა მოეწყობა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით გამოფენების ცენტრში „ExpoGeorgia“ კარიერის დაგეგვმის ღონისძიება გაიმართება. გამოფენის მიზანია სტუდენტების ინფორმირება და ტურიზმის ინდუსტრიის უკეთ გაცნობა. ღონისძიების დეტალებთან დაკავშირებით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო ბიუროს წევრი 25-ზე მეტი ორგანიზაცია, მათ შორის, წამყვანი სასტუმროები და ტურისტული კომპანიები. გამოფენის დროს სტუდენტებს საშუალება ექნებათ სხვადასხვა კომპანიების წარმომადგენლებს გაესაუბრონ, გაეცნონ მათ საქმიანობას, დაგეგმონ კარიერა და გაიგონ, თუ რა უნარ-ჩვევები და გამოცდილება არის დამსაქმებლისთვის პრიორიტეტული ტურიზმის სფეროში.

ბათუმის დელფინარიუმი 2 თვით დაიხურება

ბათუმის დელფინარიუმი 2 თვით დაიხურება. როგორც ბათუმის მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, ზაფხულის სეზონისთვის მზადებასთან დაკავშირებით, ბათუმის დელფინარიუმში სარემონტო სამუშაოები დაიწყო. აღნიშნული სამუშაოების გამო დელფინარიუმი 2 თვით დაიხურება. დელფინების შოუ სამუშაოების დასრულებისთანავე განახლდება.

„არასდროს მითქვამს, რომ რუსეთი აშშ-ის არჩევნებში არ ჩარეულა“

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი თავის Twitter-ის გვერდზე აცხადებს, რომ მას არასდროს უარუყვია რუსეთის ჩარევა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში.

„არასდროს მითქვამს, რომ რუსეთი აშშ-ის არჩევნებში არ ჩარეულა. მე ვთქვი, ეს შესაძლოა, რუსეთი ან სულაც ჩინეთი ყოფილიყო. ან უბრალოდ გენიოსი, რომელიც საწოლში კომპიუტერთან ერთობა“. რუსული „ტრიუკი“ იმაში იყო, რომ ტრამპის კამპანია რუსეთთან გარიგებაში შევიდა – ეს არასდროს ყოფილა!“ – წერს ტრამპი.

აქვე იგი ამერიკას კეთილგონიერებისკენ მოუწოდებს, რადგან თვლის, რომ რუსეთის მთავარი მიზანი ამერიკულ საზოგადოებაში არეულობის შეტანაა. „თუ რუსეთის მიზანი აშშ-ში აზრთა სხვადასხვაობის, უთანხმოების და ქაოსი შექმნა იყო, მაშინ ყველა ეს საკომიტეტო მოსმენები, გამოძიებები, პარტიული ზიზღი, მათი ყველაზე თამამი ოცნებების ახდენაა. იყავი კეთილგონიერი ამერიკა,“ – დასჯენს ტრამპი მეორე ტვიტერში.

დაღესტანში მომხდარ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ISIS-მა აიღო

ქალაქ ყიზლარში ეკლესიაზე თავდასხმა 18 თებერვალს მოხდა, რის შედეგად ხუთი ადამიანი დაიღუპა. დაღუპულებისა და დაჭრილების უმეტესობა ქალია.

ვულკანის ამოფრქვევამ უზარმაზარი ღრუბლები წარმოქმნა

ინდონეზიაში, კუნძულ სუმატრაზე ვულკანი სინაბუნგი ამოიფრქვა. ინტერნეტში გავრცელებულ კადრებზე ჩანს, როგორ აკვირდებიან ადგილობრივები უზარმაზარ ღრუბლებს, რომლებიც ვულკანის ამოფრქვევის შედეგად კვამლისგან წარმოიშვა.

სინაბუნგი მოქმედი სტრატოვულკანია. ის კუნძულ სუმატრის ჩრდილოეთ ნაწილში, ქალაქ მედანიდან სამხრეთ-დასავლეთით 60 კმ-ზე, ზღვის დონიდან 2 460 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

ვულკანის ბოლო ამოფრქვევა დაიწყო 2010 წლის 29 აგვისტოს გვიან ღამით, განმეორებით ამოიფრქვა 30 აგვისტოს. მანამდე ვულკანს 400 წელზე მეტი ეძინა. კვამლისა და ფერფლის 1,5 კმ სიმაღლეზე ამოტყორცნა დაფიქსირდა. ვულკანიდან 6 კმ-ის რადიუსში 12 სოფელია განთავსებული. ამოფრქვევამ ათობით ათასი მოსახლე აიძულა გახიზნულიყო.

◎ წინ, საქართველოვ!

უნგრეთიდან – სრული კომპლექტით

უნგრეთის ქალაქ ეგერში დასრულებულ მსოფლიო თასის გათამაშებაზე პარაფარიკაობაში საქართველოს ნაკრებმა სამივე სინჯის თითო მედალი მოიპოვა.

რაპირით B კატეგორიაში მოასპარეზე ირმა ხეცურიანმა ვერცხლი მოიგო. ფინალში ის ანგარიშით 7:15 მოქმედ ოლიმპიურ ჩემპიონთან ბეატრის ვიოსთან დამარცხდა.

ხმალში გამართული შეჯიბრება ხეცურიანმა პირველი ადგილით დაამთავრა. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ის უკრაინელ ოლენა ფედოტას დაუპირისპირდა და საკმაოდ მარტივად –15:6 გაიმარჯვა. მისთვის ეს რიგით მერვე ოქროს მედალია მსოფლიო თასზე. A კატეგორიაში ბრინჯაოს მედლის მფლობელი ნინო თიბილაშვილი გახდა.

მედლების გარდა, დაჯილდოების ცერემონიაზე ხეცურიანს 2017 წლის მსოფლიო თასის გამარჯვებულისთვის განკუთვნილი პრიზიც გადასცეს. აღნიშნულ ჯილდოს ტურნირის ყველა ეტაპის შედეგების მიხედვით რეიტინგის პირველ ნომერს აძლევენ. გასული წლის 23- წლამდელთა მსოფლიო თასის ლიდერი ნინო თიბილაშვილი გახდა და ისიც შესაბამისი პრიზით დაჯილდოვდა.

საქართველოს ნაკრები, რომლის მთავარი მწვრთნელიც მალხაზ მესხია, სამი მონაწილისგან შედგებოდა. ირმა ხეცურიანისა და ნინო თიბილაშვილის გარდა, ტურნირზე გვანცა ზადიშვილიც ასპარეზობდა. ეს მისთვის პირველი საერთაშორისო გამოცდა იყო.

მსოფლიო თასის გათამაშების მომდევნო ეტაპი მარტში იტალიაში მოეწყობა.

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

გერმანიაც მშრალზე დატოვეს

2018 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატში მეორე გამარჯვება მოიპოვა საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა, რომელმაც ოფენბახში გერმანიის გუნდს აჯობა. ალემანებმა შარშან შინ რუმინელებს მოუგეს, მაგრამ იქაურ რაგბის კავშირსა და მოთამაშეებს შორის მომხდარი განხეთქილების შემდეგ ნაკრები საგრძნობლად დასუსტდა, რაზეც მისი რუმინული მარცხიც (6:85) მეტყველებს.

მართალია, „ბორჯღალოსნები“ სტუმრად თამაშობდნენ, მაგრამ გერმანელებთან წარმატება არავის ეეჭვებოდა, თუმცა, ასეთი იოლი გასეირნება თუ ექნებოდათ, ვერავინ წარმოიდგენდა. საქართველოს ნაკრებმა ყველა კომპონენტში დაჩაგრა მასპინძლები. ჩვენი გუნდის თავკაცი მილტონ ჰეიგი პირველი ტაიმით, რომელიც ქართველებმა 19:0 მოიგეს, უკმაყოფილო დარჩა, რადგან სტუმრებს ძალიან ბევრი ტექნიკური წუნი ჰქონდათ. შესაძლოა, ეს უმოტივაციო მატჩითაც იყო გამოწვეული. შესვენების შემდეგ ბევრი ხარვეზი გამოსწორდა და ეს ტაბლოსაც შეეტყო. ჩვენებმა პირველ ტაიმში მხოლოდ სამი ლელო გაიტანეს, შესვენების შემდეგ კი სტადიონზე მრავლად მისულმა ქართველმა ქომაგებმა გულით გაიხარეს თანამემამულეთა ლაღი თამაშით. მე-60 წუთის შემდეგ მასპინძლები ისე დაიღალნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევის თავიც აღარ ჰქონდათ. საქართველოს ნაკრებმა ეს შეხვედრაც მშრალი ანგარიშით მოიგო – 64:0.

რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეორე ტურში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ესპანეთისა და რუმინეთის შეხვედრას, რადგან ეს 2019 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი მატჩიც იყო. შარშან პირენეელები ბუქარესტში 3:13 დამარცხდნენ კარპატელებთან, ამიტომ შინ 10 ქულაზე მეტი სხვაობით უნდა მოეგოთ, რომ ორრაუნდიან პაექრობაში უპირატესობა ჰქონოდათ. ესპანელებმა ამ ამოცანას შესანიშნავად გაართვეს თავი და 22:10 გაიმარჯვეს (რუსებმა ბელგიელებს სძლიეს – 48:7), რითაც იაპონიას მიუახლოვდნენ – 6 თამაშიდან 21 ქულით პირველ ადგილზე არიან. დარჩენილ ორ მატჩში აუტსაიდერებს – გერმანიას (11 მარტს შინ) და ბელგიას (18 მარტს სტუმრად) ეთამაშებიან და ორივე პაექრობაში წარმატების შემთხვევაში, თანაც ერთის - ბონუსით, შესარჩევში პირველ ადგილს დაიკავებენ. წლეულს ორი კონკურენტის (რუსეთი და რუმინეთი) დამარცხებით პირენეელებს ევროპის ჩემპიონატის მოგების შანსიც გაუჩნდათ. საამისოდ მათ 3 მარტს თბილისში საქართველოს ნაკრებს უნდა აჯობონ, „ბორჯღალოსნები“ კი მერე ორ დარჩენილ ბრძოლას 10 მარტს კრასნოდარში რუსეთთან, ხოლო 18 მარტს შინ რუმინეთთან გამართავენ.

ლექსო ცინცაძე

◎ პიონჩანი – 2018

იაპონელის საიუბილეო ჯილდო

იუძურუ ჰანიუ

პიონჩანის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლა ქართველმა მოციგურავე მორის ყვითელაშვილმა 24-ე ადგილით დაასრულა. მოკლე პროგრამით მან 76,56 ქულა დაიმსახურა და 22-ე ადგილით ფინალისტებში მოხვდა, თუმცა, წარუმატებელი გამოდგა მისი თავისუფალი პროგრამით ასპარეზობა - 128,01 ქულა და ორი პროგრამის ჯამში მიღებულმა 204,57 ქულამ ბოლო ადგილი არგუნა.

ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობა ისტორიული გამოდგა იაპონელი მოციგურავე იუძურუ ჰანიუსთვის. ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელმა 317,85 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა. თანაც, მისი ეს ოქროს მედალი ზამთრის ოლიმპიადების ისტორიაში გათამაშებული მეათასე უმაღლესი სინჯის ჯილდო აღმოჩნდა. ამასთან, ამერიკელი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის (სანკტ-მორიცი – 1948, ოსლო – 1952) – დიკ ბატონის შემდეგ იუძურუ ჰანიუ მეორეა, რომელმაც ფიგურულ ციგურაობაში ვაჟთა შორის ზედიზედ მეორედ დაიმსახურა ოლიმპიური ოქროს მედალი. პიონჩანში მეორე ადგილზეც მისი თანამემამულე შომა უნო (306,90) გავიდა, ხოლო ბრინჯაოს მედალი ესპანელ ხავიერ ფერნანდესს (305,24) ერგო.

გივი გაგუა

◎ ძიუდო

სამივე სინჯის მედლით

ავსტრიულ ობერვარტში დამთავრდა ძიუდოისტთა ევროპის ღია თასის გათამაშება, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა სათადარიგო შემადგენლობით იასპარეზა. ჩვენებმა ორი ოქროს, აგრეთვე თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ონისე სანებლიძე (100) და ონისე ბულაძე (+100). სანებლიძემ ნახევარფინალში თანაგუნდელ დავით ოზბეთელაშვილს აჯობა, ფინალში კი გერმანელ დანიელ ჰერბსტს 26 წამში სძლია. ოზბეთელაშვილმა ბრინჯაოსთვის პაექრობაში კოტდივუარელი კრემე კოფი კობენა დაჯაბნა.

მძიმე წონაში ბულაძემ ნახევარფინალში ჰარუნ სადიკოვიჩი (ბოსნია-ჰერცეგოვინა) ჩამოიშორა გზიდან, ხოლო გიორგი ქავთარაძემ ოქროსკენ მიმავალი გზა სვენ ჰეინლის (გერმანია) გადაუღობა. ქართული ფინალი ბულაძის გამარჯვებით დასრულდა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენები მხოლოდ ერთი ბრინჯაოთი ჩამორჩნენ აზერბაიჯანს და მეორეზე გავიდნენ, სამაგიეროდ, იაპონია ჩამოიტოვეს.

ლაშა დიდია

◎ კალათბურთი

მეფური „ოლ სტარი“

ყველა ვარსკვლავის მატჩში, რომელიც გუშინ ლოს ანჯელესში გაიმართა, ლებრონ ჯეიმსის გუნდმა სტეფ კარის ნაკრები 148:145 დაამარცხა. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ლებრონ ჯეიმსის გუნდი ძირითადად მდევრის როლში გახლდათ. მიუხედავად ამისა, ბოლო წამებზე ლებრონისა და რასელ უესტბრუკის კარგი თამაშის წყალობით გამარჯვება მათ დარჩათ.

შეხვედრის MVP ლებრონ ჯეიმსი გახდა, რომელმაც პარტნიორებს 29 ქულა, 10 მოხსნა და 8 პასი შესძინა. „მეფე“ „ოლ სტარის“ საუკეთესო მოთამაშე მესამედ გახდა (2006, 2008, 2018).

კარის გუნდი: დეროზანი (21 ქ.), ლილარდი (21 ქ.), ემბიდი (19 ქ.), თაუნსი (17 ქ. 10 მ.), ანტეტოკუმპო (16 ქ. 7 მ.), ტომპსონი (15 ქ.), ჰარდენი (12 ქ.), კარი (11 ქ.), ჰორფორდი (6 ქ.), ლოური (4 ქ. 11 პ. 7 მ.), გრინი (3 ქ.).

ლებრონი გუნდი: ლებრონ ჯეიმსი (29 ქ. 10 მ. 8 პ.), დურანტი (19 ქ.), ჯორჯი (16 ქ.), დრამონდი (14 ქ.), ბილი (14 ქ.), ირვინგი (13 ქ. 9 პ.), დევისი (13 ქ.), უესტბრუკი (11 ქ. 8 მ. 8 პ.), უოლკერი (11 ქ.), ოლადიპო (7 ქ.), დრაგიჩი (2 ქ.)

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ყველა გზა რუსეთში მიდის

გადაწყვეტილი ამბავია – არგენტინელი მოდელი, მეტსახელად პამპიტა, ამ ზაფხულს რუსეთში მიემგზავრება და ვერცხლისქვეყნელებს ხმის ჩახლეჩამდე უგულშემატკივრებს. არადა, ეს ასული ცოტა ხნის წინათ მისი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებზე ნაწყენი იყო – სამხრეთ ამერიკაშიც კი უჭირთ საკუთარი უპირატესობის დამტკიცებაო.

პამპიტას ნამდვილი სახელი და გვარი ანა კაროლინა ანდოჰანია და ეს ქალი განსაკუთრებით ცნობილი და პოპულარული მას შემდეგ გახდა, რაც თანამემამულე ფეხბურთელის მაქსი როდრიგესის გულისსწორი შეიქნა. ამის შემდეგ საკმაო დრომ გაიარა, მაგრამ მშვენიერი ანა აღარავის დავიწყებია.

როსტომ რაჭველიშვილი

სულთათანა

ღირსეულთა შორის ღირსეული

ზურაბ ჯორჯიკიას ხსოვნას

არიან ადამიანები, რომელთა სახე გამახსოვრდება მუდამ მომღიმარი, ხალისიანი და ოპტიმიზმით სავსე. ბატონი **ზურაბ ჯორჯიკია**, რომელიც კოლხეთის გულში — სენაკში დაიბადა და აღიზარდა, იყო კოლხური წალკოტივით ფიზიკურად მშვენიერი, შინაგანი მრწამსით გაბედული და მრავალმხრივ ნიჭიერი.

დიდებულია, როცა ადამიანის ბიოგრაფია, მისი გარდაცვალების შემდეგაც გრძელდება. გარდასული დღეები წარმოაჩენს პიროვნებას მთელი თავისი სისრულით. ზურაბის ფესვები სახელოვანი წინაპრების ნიადაგში გაღვივდა. შემდეგ გაძლიერდა და გაიფურჩქნა ეროვნული გმირის ჟიული შარტავასა და უნიჭიერესი პოეტისა და მთარგმნელის ჯემალ ავჯიაშვილთან ერთად, ერთ კლასში სწავლით. ახალგაზრდობიდანვე მის არსებას შეესისხლხორცა სამშობლოს სიყვარული და დაკისრებული მოვალეობისთვის თავდადება. სწორედ ეს ორი ფენომენი კვებავდა ბატონი ზურაბის შინაგან სამყაროს.

ზურაბ ვალერიანეს ძე ჯორჯიკია დაიბადა 1944 წელს სენაკში, გამორჩეულ ოჯახში. დედა რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი გახლდათ, მამა — წარჩინებული რკინიგზელი. დაამთავრა ქალაქის მე-2 საშუალო სკოლა. 1964 წელს მუშაობდა ქ. სოხუმის სამშენებლო სამმართველოში მუშად. იმავე წელს ჩაირიცხა საქ. ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. ამ პერიოდში წარმატებით გამოდიოდა საჭიდაო ხალიჩაზე, იყო სპორტის ოსტატი კლასიკურ ჭიდაობაში. მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში, მრავალჯერ უსახელებია სამშობლო, როგორც საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრების წევრს. ის გამორჩეულ ფალავნებთან ერთად ტატამზე ამარცხებდა მეტოქეებს...

1969 წელს მუშაობას იწყებს ქ. თბილისის სათავო-საკონსტრუქტორო ბიუროში ინჟინერ-კონსტრუქტორად. ერთი წლის შემდეგ საქმიანობას აგრძელებს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის სისტემაში. ინიშნება სენაკის რაიონული პროკურატურის გამომძიებლად. 1977 წლიდან ქ. ფოთის პროკურატურის უფროსი გამომძიებელია. ამ წლებში გამოავლინა დაკისრებული მოვალეობისადმი თავდადება და ერთგულება, რის გამოც დააწინაურეს დედაქალაქში.

1980-1985 წლებში იყო საქ. რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი. ამ პერიოდში მან ფარდა ახადა არაერთ მძიმე დანაშაულებრივ ჯგუფს. გამოიძია და კანონის უზენაესობა განახორციელა საშიშ ბოროტმოქმედებზე.

1986 წელს დაინიშნა ქ. სენაკის პროკურორად, სადაც მუშაობდა 1992 წლამდე. მშობლიურ რაიონში გაატარა ქმედითი ღონისძიებები, განსაკუთრებით ე. წ. „კანონიერი ქურდების“ თარეშის აღსაკვეთად. ხელი შეუწყო შემცირებულიყო მძიმე დანაშაულებრივი ქმედებები. საპროკურორო ზედამხედველობას უწევდა მოზარდთა მხრიდან ჩადენილი ქმედებების აღმოფხვრას.

1993 წლიდან მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის უფროს პროკურორად, შემდგომ გენერალური პროკურატურის უფროს თანაშემწედ მნიშვნელოვან საქმეთა საკითხებში. 1995 წლიდან ასრულებს შინაგან საქმეთა ორგანოებში მოკვლევისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის მოადგილის მოვალეობას. 1998 წლიდან 2002 წლამდე იყო საქართველოს გენერალური პროკურატურის სასჯელთა აღსრულების კანონების დაცვაზე ზედამხედველობის თბილისის პროკურორი.

ზურაბ ჯორჯიკიას ცხოვრება მუდამ იყო სავსე მრავალფეროვნებით. იგი იყო ინიციატივიანი. მრავალი ღონისძიების ორგანიზატორი და მოთავე. მის ირგვლივ მუდამ ტრიალებდნენ მეგობრები. განსაკუთრებული იყო მისი დამოკიდებულება მშობლიური რაიონისადმი. ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში არ ჩატარებულა მნიშვნელოვანი ღონისძიება, სადაც მას არ მიეღოს აქტიური მონაწილეობა.

არჩეული იყო სპორტული საზოგადოება „რაინდის“ წევრად, ასევე, ვეტერან მოჭიდავეთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. მიღებული აქვს მთავრობის უმაღლესი ჯილდო „ღირსების ორდენი“ გენერალური პროკურატურის სხვადასხვა სახის ჯილდოები. არჩეული იყო სენაკის საპატიო მოქალაქედ.

იყო ღირსეული მამა და ოჯახი უფროსი. სამშობლოს აღუზარდა 7 შვილი და 12 შვილიშვილი. წავიდა ჩვენგან ყოველმხრივ გამორჩეული პიროვნება, რომლის ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

მეგობრების სახელით:

ფაცაცია ოთარი, ჯიქია ბონდო, გადელია დემური, დგებუაძე ტარიელი, ბესელია ავთანდილი, ადანაია გურამი, დავითაია ბორისი, წულაია ჯამგული, თოდუა ალანი, კაკულია ტიტიკო, დგებუაძე გიჩა, ფოფხაძე შუქური, ჯალაღონია კანდიტი, თოდუა არმანი, ჯანჯღავა რევაზი, ცაგურია ანზორი, დავითაია დათო, კოხია ოთარი, კუჭავა დამირი, მიქაია გია, სართანია ვახტანგი, რუსია კახაბერი, ხუნწარია რამინი, დგებუაძე სოსო, ჯინორია მურმანი, გარუჩავა რეზო, არზიანი რამაზი, დამენია ჯემალი, მურღულია ანზორი, კოგახიძე ელდარი, ბარკალაია ბადრი, მაძაცარია სოსო, გეგენავა ვაჟა, კუპრეიშვილი გერმანე, ჩაჩავა მხედარი, კაკულია ტიტიკო, ასლანიშვილი ალეკო, გოგიაშვილი გურამი, ქოგულია სპარტაკი.

სანთელი

მეუღლე ლალი კანდელაკი, შვილები შორენა, ეკატერინე, ნათია, თეა, ადა, ანა, ზურაბ ჯორჯიკიები, დები დოდო, ლამარა ჯორჯიკიები, შვილიშვილები დავით ხვედელიძე, სალომე, ანანო, გიორგი მგალობლიშვილები, ვალერი, ეკა ღვინიაშვილები, ანდრია, მარი, გაბრიელ ტყეშელაშვილები, ნიკოლოზ, გიორგი ჯორჯიკიები, რძლები ირინა ბერიძე, ნინო ჯახუა, სიძეები დავით მგალობლიშვილი, ირაკლი ტყეშელაშვილი, დისშვილი მამუკა ჩხვირკვია, დის შვილიშვილები მიშიკო, ელენე ჩხვირკვიები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და სხვა ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ ვალერიანეს ძე ჯორჯიკია

პანაშვიდი 20, 21 ॥ ნუცუბიძის მე-2 მ/რ, კორპუსი 1. დაკრძალვა 22 ॥, გამოსვენება საბურთალოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესიიდან, 15 სთ.

ხსოვნა

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამაგდარი საჭადრაკო მიმომხილველი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ჩვენი გაზეთის ძველი მეგობარი და ავტორი

გივი გამრეკელი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირა ჯიმშელაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გულიკო პეტრიაშვილი, იზაბელა ფოფხაძე, ცირა კაკაბაძე მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

იზოლდა კუტალაძის

გარდაცვალებას.

შპს „გეომარის“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საზღვაო ტრანსპორტის ერთ-ერთი ღვაწლმოსილი ხელმძღვანელი, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ყოფილი უფროსი

ჯემალ კონსტანტინეს ძე ჭილვარია

და თანაუგრძნობენ ელეონორა და კოტე (კონსტანტინე) ჭილვარიებს მამის გარდაცვალების გამო.

ვინ არის ის ბაბუა, რომელიც...

„სამართალდამცველთა რეფორმირების ცენტრი“ 51-ე სკოლის ორი მოსწავლის მკვლელობის საქმეზე მოწმეთა მოქრთამვის შესაძლო ფაქტზე გამოძიებას ითხოვს. ზვიად კუპრავამ პროკურატურაში განცხადება შეიტანა.

საქმე ეხება „შაბათის კურიერში“ გასულ რეპორტაჟს, სადაც საუბარი იყო აუდიოჩანაწერზე, რომლის მიხედვითაც, კონკრეტული პირი საქმის მოწმეების მოქრთამვას ცდილობდა, სანაცვლოდ კი ჩვენების შეცვლასა და სასურველი ჩვენების მიცემას ითხოვდა.

„პროკურატურამ დაადგინოს, თუ ვინ არის ის ბაბუა, რომელიც სთავაზობს არასრულწლოვნებს და მათ ოჯახებს თანხას კონკრეტული ჩვენების სანაცვლოდ და ფაქტს მისცეს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება, ვინაიდან აღნიშნული საქმე, ხორავას ქუჩის ტრაგედია, განეკუთვნება მძიმე დანაშაულის კატეგორიას და მსგავსი ტიპის საქმეებზე მოწმეების მოსყიდვა, მასში უხეში ჩარევა გარეშე პირის მიერ არის სისხლის სამართლის დანაშაული.“ — განაცხადა კუპრავამ.

მოქალაქემ შენდობის მიზნით გორის ეკლესიაში ხელყუმბარა დატოვა



ძალაძ გორში, წერეთლის გამზირზე მდებარე ეკლესიაში ხელყუბარა იპოვეს. ხელყუმბარასთან ერთად ხატების ოთახის გვერდით წერილიც ნახეს.

წერილში მოქალაქე შენდობას ითხოვს. შინაარსის მიხედვით, იგი ღმერთს მიმართავს, რომ შეუნდოს ცოდვები, რაც ცხოვრების განმავლობაში ჩაუდენია.

ორივე ნივთი სტიქაროსანმა დილით იპოვა და მაშინვე პოლიცია გამოიძახა.

აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2017 წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა

აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმა 13%-იანი, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის გეგმა 10%-იანი გადაჭარბებით შესრულდა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წლის აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმა 252 მლნ 943 ათასი ლარი იყო, თუმცა შესრულებამ 285 მლნ 88 ათას 500 ლარი შეადგინა, ანუ გეგმა 112,7%-ით შესრულდა.

სამინისტროს ინფორმაციით, რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადების მუხლი, 12 თვის მონაცემებით, 106,1%-ით შესრულდა, სხვა შემოსავლების მუხლი 138,%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების (კლება) მუხლი 157,6%-ით.

რაც შეეხება 2017 წლის იანვარ-დეკემბრის ნაერთი ბიუჯეტის გეგმას, ის 365 მლნ 610 ათას 800 ლარი იყო, თუმცა 9,6%-ით გადაჭარბდა და შესრულებამ 400 მლნ 700 ათასი ლარი შეადგინა.

საბიუჯეტო მონაცემები ცხადყოფს, რომ აჭარის ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების მუხლი 4,8%-იანი გადაჭარბებით, სხვა შემოსავლების მუხლი 17%-იანი გადაჭარბებით, ხოლო არაფინანსური აქტივების (კლება) მუხლი მხოლოდ 33,2%-ითაა შესრულებული.

ხე-ტყის უკანონოდ მოპოვებისა და ყალბი სასაქონლო ზედნადებების დამზადების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად ხე-ტყის უკანონოდ მოპოვებისა და ყალბი სასაქონლო ზედნადებების დამზადების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ტერიტორიაზე სისტემატურად, უკანონოდ მოიპოვებდა ხის მასალას. ხე-მასალის რეალიზაციისთვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით, ბრალდებული ყალბ სასაქონლო ზედნადებებს ამზადებდა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ამ ეტაპზე ტარდება შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები აღნიშნულ დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით.

სპორტული ცხოვრების ოლიმპიური შუქ-ჩრდილები

მომავალი ოლიმპიური თამაშები, რომლებსაც ტოკიო უმასპინძლებს, რიგით 34-ე იქნება, მაგრამ საგულისხმო ისაა, რომ მათი პროგრამა არსებობის საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ხშირად იცვლებოდა.

ოლიმპიური სახეობის ამჟამინდელი 33 სახეობიდან, ასე ვთქვათ, „ძველმოსახლე“ მხოლოდ ცხრაა. ესენია, კერძოდ, ჭიდაობა, ველოსპორტი, მძლეოსნობა და ძალოსნობა, ცურვა, ტანვარჯიში, სროლა, ჩოგბურთი და ფარიკაობა. ისინი 1896 წელს გამართული პირველი ოლიმპიადის პროგრამაში იყვნენ.

ზამთრის პირველი ოლიმპიადა 1924 წელს გაიმართა. ამჟამად მასში სპორტის 15 სახეობაა, რომელთაგან „აბორიგენები“ არიან **ბობსლეი, კერლინგი, ციგურები, სათხილამურო რბოლა და ორჭიდი, ტრამპლინიდან ხტომა, ფიგურული სრიალი, ჰოკეი და ბიატლონი,** რომელსაც უწინ „სამხედრო განწესთა შეჯიბრი“ ეწოდება.

ჯანმრთელობას გაუმარჯოს!

იმ ხალხს, ვინც ყოველდღე დიდ ბოკალ ღვინოს სვამს, იშემიური ინსულტი უფრო იშვიათად ემართება, აცხადებენ ბრიტანელი და შვედი მეცნიერები.

მათ 25 გამოკვლევის შედეგები გააანალიზეს, რომელშიც 20 ათასი კაცი მონაწილეობდა და დაადგინეს, რომ დღეში 30 გრამი სპირტის ტოლფასი ალკოჰოლის დოზა, იშემიური ინსულტის განვითარების საფრთხეს, რა დროსაც შედედებული სისხლი სისხლძარღვს ჭედავს, ამცირებს.

საქმე ის არის, რომ ალკოჰოლი ამცირებს ცილის წარმოებას, რომელიც სისხლის შედედებას იწვევს. ამდენად, ალკოჰოლის მოხმარება სისხლს „ათხელებს“. მეორე მხრივ, ალკოჰოლი მაღლა სწევს არტერიულ წნევას, მაშასადამე, ჰემორაგიული ინსულტის საფრთხესა და ტვინში სისხლის ჩაქცევის საფრთხეს ზრდის.

ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება კი ინსულტის ორივე სახეობის რისკს ამძაფრებს.

როცა ადამიანის თავისებურებები გამქღავნებას იწყებს

გერმანიის ქალაქ ბოჰუმის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ადამიანი ცაცია იქნება თუ არა, ამას არა თავის ტვინი, არამედ ზურგის ტვინი განსაზღვრავს.

ეს პროცესი ორსულობის მერვე კვირას ხდება, ანუ იმ დროიდან, როცა ემბრიონები უკვე სხვადასხვანაირად იწყებენ ხელებისა და ფეხების მოძრაობას. ამასთან, სხვადასხვა მხარის გენების ექსპრესიაც უკვე განსხვავებული აქვთ.

გასაცინებელი ა(მ)ბები

რა ახარებს ქალს

ერთ-ერთ საზოგადოებაში დაინტერესდნენ, თუ რა ახარებს ქალს ყველაზე მეტად. ერთმა კაცმა, რომელსაც თავი ქალის ბუნების კარგად მცოდნედ მიაჩნდა, თქვა — თავისი საკუთარი სილამაზეო... ამ საუბარს ლამაზი ქალი შეესწრო და შეუსწორა: — არა, ქალს დაქალის სიმახინჯე ახარებს!..

სამახსოვრო დღე

განაზებული ცოლი ქმარს ეკითხება:

— საყვარელო, გახსოვს ის დღე, ჯვარი რომ დავიწერეთ?

— მახსოვს რომელია, არც არასოდეს დავივიწყებ: პარასკევი იყო, ცამეტი... როცა თქვენსა მოვდიოდი, გზა შავმა კატამ გადამიჭრა, ზედ კართან მარცხენა ფეხი გადამიბრუნდა, მაგიდას ცამეტნი ვუსხედით. გაცნობით კი, იქ გაგიცანი.

მუყაითი მუშაკი

დაწესებულებაში ახალი მუშაკი მიიღეს, შესახედავად გულმისავალი, მოკრძალებული გოგონა ჩანდა.

ბუღალტერმა ღიმილით შეათვალიერა და უთხრა:

— სჯობს ახლავე გითხრათ ძვირფასო, სანამ მთელ თანხას მაგიდაზე დამიდებდე, ჩემი თხოვნაა, თითოეული კუპიურა სამჯერ გადათვალოთ.

— კი ბატონო, — დაეთანხმა გოგონა.

მეორე დღეს ის ბუღალტრის კაბინეტში შევიდა.

— აი, ჩემო ბატონო, თითოეული კუპიურა ათჯერ გადავითვალე...

— ჩინებულია, მიყვარს მუყაითი მუშაკი!

— ... აქ ათი თანხის ათი ჯამია.

უცნაური კითხვა

პროფესორი ეკითხება სტუდენტს:

— გათხოვებამდე ვინ იყო დედათქვენი?

გაკვირვებული სტუდენტი მხრებს იჩეჩავს:

— იმის გათხოვებამდე მე დედა არ მყავდა.

უყურადღებობა

რესტორნის მუდმივი მუშტარი ოფიციანტს მიმართავს:

— როცა კი თქვენთვის ლანგეტი შემიკვეთავს, ყოველთვის ორი ნაჭერი მოგქონდათ, დღეს კი ერთი ნაჭერი რატომ მომიტანეთ?

— ბოდიში, ეს მზარეულის უყურადღებობის ბრალია, დაავიწყდა ამ ნაჭრის ორად გაყოფა...

მიღებაზე

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ძალიან მნიშვნელოვან მიღებაზე მიიწვიეს. დარბაზში შესვლამდე ქმარმა ცოლს წასჩურჩულა:

— მარცხენა ფეხზე წინდის ნაკერი გაისწორე.

ცოლმა შეუმჩნევლად გაისწორა წინდა და ახლა მან წასჩურჩულა ქმარს:

— მეორე წინდა წესრიგშია?

— კი, — მიუგო ქმარმა, — ეგ უნაკეროა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ ან ყოველდღე იყიდეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4641; ევრო - 3.0782;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4675;
100 რუბლი - 4.3669; თურქული ლირა - 0.6572;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4539;
1000 სომხური დრამი - 5.1144.

ამინდი 20 თებერვლისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -3, დღე +11
მთიანი რაიონები - ღამე -8, დღე +10
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +2, დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე -3, დღე +12
თბილისი: ღამე +2, დღე +9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge